

განათლების სექტორის მიმოსილვა COVID-19 კანდეშიის პირობებში



ავტორები:

გივი ადგიშვილი
დავით ამაშუკელი
დავით ერისთავი
გოგა თუშურაშვილი

რედაქტორი:

ლევან ავალიშვილი

**OPEN SOCIETY
FOUNDATIONS**



ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

კვლევა განხორციელდა "ღია საზოგადოების ფონდების" (OSF) მიერ დაფინანსებული პროექტის - „საჯარო სერვისების ეფექტიანობის გაუმჯობესება საქართველოს განათლების სისტემაში“ ფარგლებში. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის "ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს" (IDFI) და არ ასახავს "ღია საზოგადოების ფონდების" (OSF) პოზიციებს. OSF არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

**განათლების სექტორის
მიმოხილვა COVID-19
კანდიდის პირობებში**

2021

სარჩევი

2. შესავალი	4
3. ძირითადი მიზნები	7
4. განათლების სექტორის სტრუქტურა	13
4.1 განათლების სექტორი	15
4.2 სკოლაშეღობი განათლება	19
4.3 ზოგადი განათლება	21
4.4 პროფესიული განათლება	27
4.5 უმაღლესი განათლება	29
5. COVID-19 გავლენა განათლების სექტორზე	33
5.1 ტელეკომუნიკაციების სექტორი	33
5.2 ტექნოლოგიასა და ინტერნეტთან წვდომა	37
5.3. შეზღუდვების გავლენა ეკონომიკაზე და სასწავლო პროცესზე	48
5.4 მთავრობის პოლიტიკა განათლების სექტორში	
COVID-19 პანდემიის დროს	51
6. ფოკუს-ჯგუფის კვლევის ფარგლებში მიღებული შედეგები	60
6.1 თვისებრივი კვლევა	60
6.2 რაოდენობრივი კვლევა (დისტანციური გამოკითხვა)	67
7. სასწავლო დანაკარგები და COVID-19	76
8. რეკომენდაციები განათლების სექტორზე COVID-19-ის უარყოფითი ეფექტები შესამსუბუქებლად	81
9. აბრევიატურები	85

2. შესავალი

კვლევა განხორციელდა "ღია საზოგადოების ფონდების" (OSF) მიერ დაფინანსებული პროექტის - „საჯარო სერვისების ეფექტიანობის გაუმჯობესება საქართველოს განათლების სისტემაში“ ფარგლებში. განვითარებადი ეკონომიკის და დაბალი ტექნოლოგიური განვითარების პირობებში, განათლების სექტორი შესაძლოა იყოს ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადი საქართველოს მასშტაბით, COVID-19 პანდემიის და დისტანციური სწავლების ფონზე. პროექტის მიზანს წარმოადგენს არსებული გამოწვევების შეფასება და საპასუხო ღონისძიებების შეთავაზება დაინტერესებული მხარეებისათვის.

PISA¹-ს ქულების გათვალისწინებით (70-ე ადგილი 78 ქვეყნიდან) საქართველოს განათლების სექტორის შედეგები საკმაოდ არაადამაკმაყოფილებელია. სექტორის ზოგადი გამოწვევები მოიცავს: საჯარო სკოლებში მასწავლებლების საშუალო ასაკის ზრდას და დაბალ ხელფასებს, რაც მასწავლებლობის როგორც პროფესიის მიმზიდველობას ამცირებს. დღეისათვის არსებული გამოწვევებია სკოლების დაბალი ხარისხის ტექნიკური აღჭურვილობა და შესაბამისი პერსონალის კვალიფიკაცია. გარდა ამისა, სექტორის მთავარი გამოწვევაა, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი აბსოლუტურ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს და არ აქვს წვდომა შესაბამის ლიტერატურასთან და სასწავლო მასალებთან. ასევე, COVID-19 პანდემიით გამოწვეულმა შეზღუდვებმა და შესაბამისმა უსაფრთხოების წესებმა გამოიწვია სასწავლო პროცესის ხანგრძლივობის შემცირება რაც უარყოფითად აისახა სასწავლო პროცესის ეფექტიანობაზე.

განათლების სექტორში სტრატეგიული დაგეგმვა აუცილებელია, რადგან განათლება ადამიანურ კაპიტალში მნიშვნელოვანი ინვესტიციაა და მდგრადი ეკონომიკური განვითარების წინაპირობას წარმოადგენს. განათლება აუცილებელია, როგორც ფინანსური სტაბილურობის, ასევე სოციალური უზრუნველყოფისა და ქვეყნის კეთილდღეობის მისაღწევად. განათლება ყველასთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი და საგანმანათლებლო სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს ქვეყნის თითოეული მაცხოვრებლისთვის მაღალი ხარისხის მდგრადი შედეგების მიღების შესაძლებლობას.

¹ OECD- ის მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა (PISA) 15 წლის მოზარდებში ზომავს კითხვის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო ცოდნას და უნაჩებს

COVID-19 პანდემიის ფონზე განათლების სექტორში საჯარო მომსახურების ხარისხისა და გამჭვირვალობის გაუმჯობესების მიზნით, პროექტის გუნდმა კვლევის განსახორციელებლად შეიმუშავა შემდეგი ნაბიჯები:

- ◆ მკვლევარების გუნდმა ჩაატარა ზოგადი განათლების სექტორის წინასწარი ანალიზი და შეიმუშავა კვლევის სტრუქტურა. შეგროვებული მონაცემები, გამოყენებული იყო თვისებრივი და რაოდენობრივი ანალიზისთვის.
- ◆ პროექტის გუნდმა გამოითხოვა 22 სხვადასხვა ტიპის ინფორმაცია: რეგულაციებთან, სასწავლო პროცესთან და მასწავლებელთა ტრენინგებთან დაკავშირებით განეულ ხარჯებზე, COVID-19 პანდემიის განმავლობაში. ინფორმაცია გამოთხოვილი იყო: საქართველოს განათლების, მეცნიერების და კულტურის სამინისტროდან, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან და მასწავლებელთა განვითარების ეროვნული ცენტრიდან.
- ◆ COVID-19 პანდემიის საპასუხოდ, მთავრობის რეაგირების შესაფასებლად და COVID-19 პანდემიის პერიოდში განეული ფინანსური ხარჯების გასაანალიზებლად, მკვლევარების გუნდმა დაიწყო განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და მისი დამხმარე საჯარო ორგანიზაციების მონიტორინგი, მთავრობის ელექტრონული შესყიდვების პორტალის საშუალებით. მონიტორინგი მოიცავს 2019, 2020 და 2021 წლებს.
- ◆ ჩატარდა მასწავლებლების, მშობლებისა და სკოლის ადმინისტრაციის ფოკუს-ჯგუფები თბილისიდან და სხვა რეგიონებიდან, და COVID-19-ით განპირობებული გამოწვევები გაანალიზდა ფოკუს ჯგუფის მონაწილეების გამოხმაურების საფუძველზე. ფოკუს ჯგუფებთან შეხვედრის შემდეგ, პროექტის გუნდმა შეიმუშავა ინტერნეტ კითხვარი და გაავრცელა ფართო აუდიტორიაში. შედეგები გაანალიზდა და ასახულია კვლევაში.
- ◆ პროექტის ფარგლებში ჩვენი პარტნიორები იყვნენ არასამთავრობო ორგანიზაცია "მშობლები განათლებისთვის" და "საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი", ხოლო სოციოლოგიურ კვლევის ნაწილში, სოციოლოგი გიორგი ურჩუხიშვილი.

ინტერნეტმა და ციფრულმა ტექნოლოგიებმა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს COVID-19 პანდემიისგან გამონჯველი სირთულეების შესამსუბუქებლად. გადაადგილებაზე შეზღუდვების გამო, მოსახლეობის უმეტესობისთვის საგანმანათლებლო პროცესი ნაწილობრივ ან მთლიანად გადავიდა დისტანციურ სწავლებაზე, Microsoft Teams-ის პლატფორმის გამოყენებით ტარდებოდა გაკვეთილები საშუალო განათლების საფეხურზე. შესაბამისად, მოთხოვნა კერძო და საჯარო სერვისების დისტანციურ მიწოდებაზე მნიშვნელოვნად გაიზარდა.

ინტერნეტთან წვდომის ნაკლებობა მნიშვნელოვან ხელის შემშლელ ფაქტორად იქცა ადამიანებისთვის, მთელი ამ პერიოდის განმავლობაში. მიუხედავად ამისა, საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, ამ კუთხით დღესაც მრავალ გამონჯევას აწყდება. ეს ანგარიში შეეცდება გამოიკვლიოს ინტერნეტის ხელმისაწვდომობის ხარისხი ქვეყანაში, იმ ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით რაც შეაგროვა და გამოაქვეყნა კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა (საქსტატი) და სხვა შესაბამისმა წყაროებმა.

COVID-19 პანდემიის გამო ფოკუს ჯგუფებთან შეხვედრები და სხვა აქტივობები ინტერნეტ პლატფორმების გამოყენებით ჩატარდა. მასწავლებლების, მშობლებისა და სკოლის წამომადგენლობითი ორგანოსგან მიღებული ცოდნა და გამოხმაურება სექტორის შესახებ ასახულია კვლევის შედეგებში და რეკომენდაციებში.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი გეგმავს გაზარდოს საზოგადოების ინფორმირებულობა სექტორში არსებული გამონჯევების შესახებ, კვლევითი ნაშრომების გამოქვეყნებით და ფართო აუდიტორიისთვის კვლევის შედეგების გაცნობით.

3. ძირითადი მიზნობები

ნაკითხულის გააზრების, მათემატიკისა, და მეცნიერებების დაჯამებული ქულის მიხედვით, საქართველო 78 ქვეყნიდან 70-ე ადგილს იკავებს. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ ჩატარებული საერთაშორისო სტუდენტების შეფასებით, საქართველო 78 ქვეყნიდან ბოლოდან მერვე ადგილზე მოხვდა. PISA 2018 წლის ანგარიშზე დაყრდნობით, ჩამოვრჩებით ყველა მეზობელ ქვეყანას და განვითარებულ ქვეყნებს, ვუსწრებთ მხოლოდ დაბალი განვითარების ქვეყნებს: კოსოვო, ლიბანი, მაროკო, დომინიკის რესპუბლიკა და ა.შ..

საქართველოს მიერ განათლების სექტორისთვის გამოყოფილი რესურსების წილი მშპ-თან მიმართებაში ჩამოუვარდება ევროკავშირისა და OECD ქვეყნების საშუალო მაჩვენებლებს. დანახარჯი განათლებაზე საშუალო წლიურად 7.7%-ით იზრდებოდა ცხრა წლის განმავლობაში (7.1% ინფლაციის გათვალისწინებით) და 2 მლრდ. ლარს მიაღწია 2020 წელს. თუმცა, დანახარჯების წილი მშპ-ში არ შეცვლილა აღნიშნულ პერიოდში და 4.1%-ს შეადგენდა 2020 წელს. მაშინ, როდესაც OECD და ევროკავშირის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელი 5%-ს და 4.7%-ს შეადგენდა, შესაბამისად, 2019 წლის მდგომარეობით.

COVID-19-ის პანდემიამ შეამცირა კერძო სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობა -5%-ით, უმეტესად საჯარო სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობის ზრდის ხარჯზე. აღნიშნულის ძირითადი გამომწვევ მიზეზად 2020 წელს მშპ-ს -6.2%²-იანი ვარდნა შეგვიძლია მივიჩნიოთ. დღეისათვის მოსწავლეების თითქმის 90% საჯარო სკოლაში სწავლობს, მაგრამ ეს წილი მცირდებოდა ეკონომიკურ ზრდასთან ერთად და კერძო სკოლები უფრო მიმზიდველი ხდებოდა 2020/2021 სასწავლო წლამდე.

საქართველოს განათლების სისტემაში დისტანციური სწავლება პანდემიამდე არასდროს გამოუყენებიათ და ქვეყანა მოუმზადებელი შეხვდა ახალ გამოწვევას. 2020 წელს, შინამეურნეობების 38%-ს არ ჰქონდა კომპიუტერი და 16%-ს კი ინტერნეტთან წვდომა.

დისტანციური სასწავლო პროგრამა TEAMS-ით მასწავლებლებისა და მოსწავლეების 11%-ს საერთოდ არ უსარგებლიათ. 2020/2021 სასწავლო წელს 65 ათასმა ბავშვმა და 7 ათასმა მასწავლებელმა დააფიქსირა, რომ TEAMS-ი არ გამოუყენებიათ.

² საქსტატი, წინასწარი შეფასებები

მასწავლებლის პროფესია უფრო ნაკლებად მიმზიდველია საქართველოში. მასწავლებლის საშუალო ხელფასი -40%-ით ჩამოუვარდება საშუალო ხელფასს. აღნიშნულმა, მასწავლებლების რაოდენობის 64,000-მდე შემცირება გამოიწვია 2020/2021 სასწავლო წელს, -7%-ით ნაკლები 2013/2014 სასწავლო წელთან შედარებით. თუმცა, იმავე პერიოდში, მოსწავლეთა რაოდენობა ერთ მასწავლებელზე 24%-ით (8-მდე) და 13%-ით (10-მდე) გაიზარდა კერძო და საჯარო სკოლებში, შესაბამისად.

მოსწავლეთა თითქმის 1.4%-მა მიატოვა სკოლა 2019/2020 სასწავლო წელს. ბიჭების წილი ამ მოსწავლეებში 59%-ი იყო. მიუხედავად იმისა, რომ დაწყებითი და საბაზო განათლება საქართველოში აუცილებელია, იმ მოსწავლეების 42% ვინც 2019/2020 წელს სწავლა მიატოვა, მეათე კლასის ქვემოთ იყო.

სკოლის დამამთავრებელი გამოცდების კრიტერიუმები შესაძლოა ძალიან დაბალი იყოს საქართველოში. სკოლას მოსწავლეების 96% ამთავრებს, რაც სამხრეთ კორეის მერე ყველაზე მაღალი მაჩვენებელია მსოფლიოში. მაშინ როდესაც, PISA-ს ტესტირების ქულები და სხვა ხარისხის განმსაზღვრელი ინდიკატორები აჩვენებს, რომ სკოლის განათლების ხარისხი დაბალია საქართველოში.

პროფესიული პროგრამები სრულად ვერ პასუხობენ შრომით ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს და აღნიშნული სასწავლებლების პოპულარობა ბოლო შვიდ წელში მნიშვნელოვნად შემცირდა. პროფესიული სასწავლებლების რაოდენობა ბოლო შვიდი წლის განმავლობაში არ შეცვლილა და 92-ს შეადგენდა 2020 წლის მდგომარეობით. თუმცა, ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა -55%-ით შემცირდა იმავე პერიოდში და 9,399 მოსწავლე შეადგინა. მაშინ როდესაც ევროკავშირში მოსწავლეების თითქმის ნახევარი პროფესიულ სასწავლებლებს ირჩევს მე-9 კლასის შემდგომ, საქართველოში ეს მაჩვენებელი მხოლოდ 1%-ია.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე მოთხოვნა გაიზარდა, განსაკუთრებით კერძო სასწავლებლებზე. სტუდენტების რაოდენობამ ერთ უნივერსიტეტში საშუალოდ 2,500 შეადგინა 2020/2021 სასწავლო წელს, რაც +27%-ით მაღალია 2012/2013 წელთან შედარებით. სტუდენტების რაოდენობა კერძო უნივერსიტეტებში გაიზარდა +92%-ით 157 ათასამდე, 2020/2021 სასწავლო წელს, 2012/2013 წელთან შედარებით და საჯარო სასწავლებლებში სტუდენტების რაოდენობა მხოლოდ +18%-ით გაიზარდა, იმავე პერიოდში.

კერძო სასწავლებლები უფრო მიმზიდველი გახდა, თუმცა კურსდამთავრებულთა წილი კერძო უნივერსიტეტებში უფრო დაბალია, სახელმწიფო სასწავლებლებთან შედარებით. საშუალო კურსდამთავრებულთა წილი ერთ მიღებულ სტუდენტზე საჯარო უმაღლეს სასწავლებელში 69% იყო 2012-2020 წლებში, +16%-ით მეტი, ვიდრე კერძო უნივერსიტეტებში იმავე პერიოდში.

უმაღლესი სასწავლებლები გადატვირთულია და კურსდამთავრებულების დაბალი რაოდენობის მიზეზი შეიძლება სავალდებულო სამხედრო სამსახური იყოს. სტუდენტები გათავისუფლებულნი არიან სამხედრო სამსახურისგან სწავლის პერიოდში, რაც ზრდის გამოცდებში ჩაჭრილი სტუდენტების რაოდენობას სასწავლო პერიოდის გახანგრძლივების მიზნით. ასევე, აღნიშნული პოლიტიკა სტიმულს აძლევს ახალგაზრდებს (27 წლამდე), რომ ჩააბარონ დოქტორანტურაზე ადრეულ ასაკში.

COVID-19 პანდემიის პერიოდში დაწესებული შეზღუდვების ფონზე, ქვეყანაში ინტერნეტის მოხმარება თითქმის 2.2 ჯერ გაზარდა. 2020 წლის მანძილზე, მობილური ინტერნეტ ტრაფიკმა 192,315 ტერაბაიტს მიაღწია, რაც 119%-იანი ზრდაა 2019 წელთან შედარებით.

შინამეურნეობებს არ აქვთ საკმარისი კომპიუტერები, რომ ყველა მოსწავლისათვის უზრუნველყონ დისტანციური სწავლება. რაოდენობრივი კვლევის მიხედვით მონაწილეთა მხოლოდ 60% იყენებს პერსონალურ კომპიუტერს სწავლისთვის, ხოლო დანარჩენი რესპონდენტები სხვა ტექნიკას იყენებენ. იმის გათვალისწინებით რომ ყველა ოჯახს არ აქვს პერსონალური კომპიუტერი და ხშირად მრავალშვილიან ოჯახებს არ გააჩნიათ რამდენიმე კომპიუტერი, სხვა ტექნიკური მოწყობილობების გამოყენება ერთადერთი გამოსავალია.

ჩვენი შეფასებით, 100 მლნ ლარამდეა საჭირო სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის კომპიუტერებისა და ინტერნეტის მისაწოდებლად, რომ მათ დისტანციურ სწავლების პლატფორმასთან წვდომა ჰქონდეთ. სოციალური მომსახურების სააგენტოს ცნობებზე დაყრდნობით, საქართველოში 96,000 სტუდენტი ცხოვრობს სოციალურად დაუცველ ოჯახებში და შეფასებულია, რომ აღნიშნულიდან 78,000-ს არ აქვს წვდომა ინტერნეტთან ან კომპიუტერთან.

საქართველომ სიმკაცრის ინდექსით გადაასწრო ყველა სხვა ქვეყანას აზერბაიჯანის გარდა. სიმკაცრის ინდექსი აჩვენებს რომ საქართველოს მთავრობის მიერ შემოღებული შეზღუდვების პოლიტიკა უფრო მკაცრი იყო ვიდრე ევროკავშირის და მეზობელ ქვეყნებში.

◆ სოციალური უთანასწორობა თბილისსა და რეგიონებს შორის

დისტანციური სწავლების პროცესი უფრო რთულად მიმდინარეობს სოფლებში და რეგიონებში, მსხვილ ქალაქებთან შედარებით. სოფლებში შინამეურნეობების წილი, ვისაც არ ჰქონდათ კომპიუტერი და ინტერნეტი 68%-ს და 26%-ს შეადგენდა, შესაბამისად. თუმცა, იმავე პერიოდში, შინამეურნეობების წილი ქალაქებში ანალოგიური გამონვევებით 24% და 9% იყო, შესაბამისად.

473 სოფელი და საერთო ჯამში 2,000-მდე დასახლება ჯერ კიდევ ელოდება მაღალი სიჩქარის მქონე ინტერნეტს, რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ 2015 წელს გამოცხადებული “საყოველთაო ინტერნეტიზაციის” ფარგლებში უნდა მიეღო. პროექტი „ქართუ ფონდის“ მიერ უნდა დაფინანსებულიყო და თავდაპირველი გამოთვლების თანახმად 125-150 მლნ დოლარის ინვესტიცია ჭირდებოდა. თუმცა, პროექტის განმახორციელებელმა „ოუფენ ნეტმა“ მხოლოდ 3 მლნ ლარი მიიღო 2015-2017 წლებში და დაფინანსება ამის შემდეგ შეწყდა.

TEAMS სასწავლო პროგრამას რეგიონებში უფრო ნაკლებად იყენებდნენ. იმ მოსწავლეებიდან და მასწავლებლებიდან, რომლებსაც არ გამოუყენებიათ პროგრამა TEAMS, რეგიონებზე მოდის ჯამური მაჩვენებლების 91% და 98%, შესაბამისად. თბილისში აღნიშნული პრობლემა ნაკლებად მწვავეა და მოსწავლეების და მასწავლებლების მხოლოდ 9% და 2% არ იყენებდა სასწავლო პროგრამას.

შეზღუდვების მოხსნის შემდგომ მოსწავლეების უმეტესობა კვლავ სწავლების ტრადიციულ მეთოდებს ირჩევს, COVID პანდემიის რისკების მიუხედავად. თუმცა, რეგიონები უფრო მეტად არიან დამოკიდებული საკლასო განათლებაზე. შეზღუდვების შემდეგ სკოლები კვლავ გაიხსნა და მოსწავლეების ნახევარზე მეტი საკლასო ოთახებში დაბრუნდა. სოფლებში მაცხოვრებელი მოსწავლეების 75% დაუბრუნდა სკოლებს გახსნის შემდეგ, ხოლო ქალაქში მაცხოვრებლების 46% დაუბრუნდა საკლასო ოთახებს.

◆ COVID-19 პანდემიის ეკონომიკური გავლენა განათლების სექტორზე

ინტერნეტი ყოველდღიურად უფრო პოპულარული ხდება საქართველოში, მაგრამ საქართველოს მთიან რეგიონებში ხარისხიანი ინტერნეტი არ არის ხელმისაწვდომი. ინტერნეტ აბონენტების რაოდენობა წ.წ. +8.7%-ით და +5.8%-ით იზრდებოდა 2019 და 2020 წლებში, შესაბამისად, და მილიონამდე აბონენტს მიაღწია. ყველაზე ხშირად გამოყენებადი ინტერნეტ ტექნოლოგია ოპტიკურ-ბოჭკოვანია, რომლითაც 2020 წლის მომხმარებლების თითქმის 84% სარგებლობდა, +2% და

+9%-ით უფრო მეტი ვიდრე 2019 და 2018 წლებში, შესაბამისად. თუმცა, ოპტიკურ ბოჭკოვანი ინტერნეტის მიწოდება მაღალ ინფრასტრუქტურულ ხარჯებთან არის დაკავშირებული და ნაკლებად გვხვდება ურბანული დასახლების გარეთ.

საქართველოს სკოლის მოსწავლეებში მოსალოდნელი პროდუქტიულობა ყველაზე დაბალია რეგიონის და განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით. მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებული “ადამიანური კაპიტალის ინდექსი” (HCI) 2018 წლის ოქტომბერში გამოქვეყნდა და 2020 წელს განახლდა, COVID-19 პანდემიამდე პერიოდში. საქართველოს ქულა 0.57-ია რაც საკმაოდ დაბალი შეფასებაა, რეგიონის და ევროპის ქვეყნებთან შედარებით.

სასწავლო პროცესის შეფერხებით გამოწვეული დანაკარგის დღევანდელი ღირებულება საქართველოს ეკონომიკისათვის დაახლოებით 55 მლრდ ლარამდე³. საქართველოს მთავრობამ 2020 წლის 4 მარტს ვირუსის გავრცელებისთვის ხელის შეშლის მიზნით სკოლებში ერთ თვიანი დასვენება გამოაცხადა და დისტანციური სწავლებისთვის შესაბამისი პლატფორმები აამოქმედა. შემოღებული შეზღუდვები და დისტანციური სწავლის მიმართ გამოუცდელობა, სასწავლო პროცესის ეფექტურობას ამცირებს და მოსალოდნელია გამოიწვიოს ქვეყნის ეკონომიკური ზრდის პოტენციალის შეფერხება გრძელვადიან პერიოდში. ასევე, მნიშვნელოვანია რომ ჩვენი დათვლილი დანაკარგები ახლოს არის აზიის განვითარების ბანკის მიერ 2021 წლის აპრილში გამოქვეყნებულ კვლევაში: „სწავლის და შემოსავლის დანაკარგები COVID-19 პანდემიით გამოწვეული სკოლების დახურვისგან“ საშუალო სიმძაფრის სცენარით დათვლილ დანაკარგებთან.

საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს, არ აქვს წვდომა ინტერნეტსა და ტექნოლოგიებზე:

- ◆ 2020 წლის ივლისამდე მონაცემებით, 6-დან 14 წლამდე ბავშვების 7.1%-ს არასდროს გამოუყენებიათ ინტერნეტი;
- ◆ პანდემიის შეზღუდვების დროს, დაახ. 35,000 ბავშვს არ ჰქონდა წვდომა დისტანციური სწავლებისთვის საჭირო ტექნოლოგიებზე;
- ◆ 65 მუნიციპალიტეტიდან, 10-ზე ნაკლებს ჰქონდა 50%-ზე მაღალი წილით ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტი;

³ ინფოხმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის შეფასება. მეთოდოლოგია შემუშავებულია მსოფლიო ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით.

- ◆ დაახ. 10 მუნიციპალიტეტი, რომლებშიც 50,000-მდე მოსახლე ცხოვრობს, 5%-ზე ნაკლებს აქვს ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტი
- ◆ 2020 წელს, შინამეურნეობების მხოლოდ 62%-მა დააფიქსირა რომ სახლში კომპიუტერი აქვთ;

თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევით გამოვლენილი, ყველაზე პრობლემური საკითხები:

- ◆ **სოციალურად დაუცველ და რეგიონში მცხოვრებ მოსწავლეებს უფრო მეტი სირთულეები აქვთ დისტანციური სწავლების დროს, თბილისში მაცხოვრებელ მოსწავლეებთან შედარებით.** რეგიონში არსებული გამოწვევები მოიცავს ინტერნეტისა და დისტანციური სწავლების მიღების შესაძლებლობის არ ქონას, ტექნოლოგიაზე შეზღუდული წვდომის პირობებში, განსაკუთრებით სოციალურად დაუცველ ოჯახებში;
- ◆ **მასწავლებლებისა და მშობლების მხრიდან დისტანციური კლასების მართვის, დასწრებისა და საშინაო დავალების ატვირთვისთვის საჭირო ტექნიკური უნარ-ჩვევების არ ჰქონა მნიშვნელოვანი გამოწვევა სასწავლო პროცესისთვის.** დისტანციური გაკვეთილების დაბალი ხანგრძლივობა და მოსწავლეების ქარბი რაოდენობა, ერთნაირ გამოწვევას წარმოადგენს თბილისის და რეგიონის სკოლის მოსწავლეებში. რესპონდენტები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ხსენებული გამოწვევები ამცირებენ დისტანციური გაკვეთილების ეფექტიანობას.
- ◆ **დანყებიტი კლასის მოსწავლეებისთვის უფრო სტრესული აღმოჩნდა დისტანციური სწავლება, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან შედარებით.** სირთულეები მოიცავს დავალების ატვირთვას, დეპრესიულ განწყობას და ა.შ.. რესპონდენტების უმრავლესობა თანხმდება, რომ დისტანციურ სწავლებისას გენდერს არ აქვს მნიშვნელობა.
- ◆ **რაოდენობრივმა კვლევამ აჩვენა, რომ დისტანციური სწავლების დროს სწავლების ხარისხი გაუარესდა.** რესპონდენტების თანახმად, გაკვეთილებზე დასწრება დისტანციური სწავლების პერიოდში შემცირდა, საკლასო სწავლებასთან შედარებით. აღნიშნულთან ერთად გაუარესებულია აკადემიური მოსწრება. ასევე, რესპონდენტების ყველაზე პოპულარული სურვილი, COVID-19 პანდემიის დროს უფასო ინტერნეტი იყო.

4. განათლების სექტორის სტრუქტურა

საქართველოს განათლების სისტემა შედგება შემდეგი ოთხი სვეტისგან: ადრეული და სკოლამდელი განათლება, ზოგადი განათლება, ტექნიკური განათლება, და უმაღლესი განათლება. განათლების მიღების უფლება საქართველოში კონსტიტუციით არის გარანტირებული. დაახ. ერთი მილიონი ბავშვი, მოსწავლე და სტუდენტი არის დარეგისტრირებული განათლების სექტორში.

ადრეული და სკოლამდელი განათლება, ისევე როგორც სკოლის მოსამზადებელი პროგრამა, ნებაყოფილობითია. ამ საფეხურზე ბავშვების ასაკი 0-დან 5 წლამდეა. პროგრამის დასრულების შემდეგ ოფიციალური დოკუმენტი არ გაიცემა და არც სკოლაში შესასვლელად არის აუცილებელი პირობა. ამჟამად 158 ათასი ბავშვი დადის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებაში (ბაღი) საქართველოში.

საქართველოში ზოგადი განათლება კანონებით არის რეგულირებული: “ზოგადი განათლებაზე” და “განათლების ხარისხის ამაღლებაზე”; კვლევა ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებებში ტარდება ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, რომელიც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ არის შექმნილი. სრული ზოგადი განათლება მოიცავს სამ საფეხურს (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) და სწავლის ხანგრძლივობა 12 წელს შეადგენს.

- ◆ დაწყებითი განათლება მოიცავს 6 წლიან სწავლებას, რომელიც I-VI კლასებში ხორციელდება (ბავშვების საშუალო ასაკი: 6-12);
- ◆ საბაზო განათლება მოიცავს 3 წელს, (VII-IX კლასებს, ბავშვების საშუალო ასაკი: 13-15);
- ◆ საშუალო განათლება მოიცავს 3 წელს (X-XII კლასებს, ბავშვების საშუალო ასაკი: 16-18).

დაწყებითი და საბაზო განათლება სავალდებულოა საქართველოში. სრული ზოგადი განათლების დასრულებისას გაიცემა სერტიფიკატი (ატესტატი), რომელიც იძლევა საშუალებას სწავლა გაგრძელდეს უმაღლეს სასწავლებელში ან პროფესიულ სასწავლებელში.

საქართველოში უმაღლესი და პროფესიული განათლება კანონებით არის რეგულირებული: “უმაღლეს განათლებაზე”, “ტექნიკურ განათლებაზე”, “განათლების ხარისხის ამაღლებაზე”, და სხვა კანონქვემდებარე აქტებით. საქართველოს აქვს უმაღლესი განათლების სამ საფეხურიანი სისტემა და შედგება ბაკალავრიატის (მოიცავს 4 წელს), მაგისტრატურის (მოიცავს 2 წელს), და დოქტორანტურის საფეხურებისგან (მოიცავს 3 წელს).

საქართველოში საგანმანათლებლო მომსახურებას საჯარო (სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული და მართული ორგანიზაციები), კერძო კომერციული, და კერძო არაკომერციული ინსტიტუტები აწვდიან. უნდა აღინიშნოს, რომ საგანმანათლებლო სექტორი განთავისუფლებულია დამატებითი ღირებულების გადასახადისაგან (დღგ).

ცხიდი 1: საქართველოს განათლების სექტორის სტრუქტურა 2020 წელს




წყარო: საქსტატი, განათლების ხაზისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

4.1 განათლების სექტორი

ბოლო წლებში განათლების სისტემის გაუმჯობესების მიზნით სხვადასხვა რეფორმები განხორციელდა. მათ შორის: ინსტიტუციური სტრუქტურის შეცვლა, კორუფციის აღმოფხვრა, უნივერსიტეტებისთვის ავტონომიის მინიჭება, და ევროპული სტანდარტების შემოღება. თუმცა, საქართველოს განათლების სისტემა კვლავ მრავალი გამოწვევის წინაშეა და ბოლო ადგილებს იკავებს შესაბამის რეიტინგში.

PISA-ს შედეგები აჩვენებს, რომ საქართველოს განათლების სისტემას მნიშვნელოვანი ცვლილებები სჭირდება. PISA-ს 2018 წლის ანგარიშზე დაყრდნობით, საქართველო წაკითხულის გააზრების, მათემატიკისა, და მეცნიერებების დაჯამებული ქულის მიხედვით, 78 ქვეყნიდან 70-ე ადგილს იკავებს. ჩამოვრჩებით ყველა მეზობელ ქვეყანას და განვითარებულ ქვეყნებს.

გრაფიკი 1: PISA-ს 2018 წლის შედეგები




წყარო: World Development Indicators, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

შენიშვნა: ქვემოთ მინერილი რიცხვები ასახავს ქვეყნის ადგილს PISA 2018-ის რეიტინგში წაკითხულის გააზრების, მათემატიკისა და მეცნიერებების დაჯამებული ქულის მიხედვით. (ესპანეთის შემთხვევაში მოცემულია 2015 წლის შედეგები)

ჯამური დანახარჯი განათლებაზე საშუალო წლიურად 7.7%-ით იზრდებოდა ცხრა წლის განმავლობაში (7.1% ინფლაციით დაკორექტირებული) და 2 მლრდ. ლარს მიაღწია 2020 წელს. თუმცა, დანახარჯების წილი მშპ-ში მნიშვნელოვნად არ შეცვლილა და 4.1%-ს შეადგენდა 2020 წელს.

გრაფიკი 2: დანახარჯი განათლებაზე (მლრდ. ლარი) და წილი ნომინალური მშპ-ში %




წყარო: საქსტატი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

შენიშვნა: *დაკორექტირებული მონაცემები გამოქვეყნდება 2021 წლის 15 ნოემბერს.

საქართველოში დანახარჯი განათლებაზე მშპ-ს 4.1%-ს შეადგენდა 2020 წლის მდგომარეობით, მაშინ, როდესაც OECD და ევროკავშირის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელი 5% და 4.7% იყო, შესაბამისად, 2019 წლის მდგომარეობით. თუმცა, მშპ-თან მიმართებაში განათლებაზე უფრო მეტს ვხარჯავდით, მეზობელ სომხეთთან (2.7%) და აზერბაიჯანთან (2.5%) შედარებით.

გრაფიკი 3: განათლების წილი მშპ-ში 2017 წელს (საქართველო: 2017 და 2020)




წყარო: World Development Indicators, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

შენიშვნა: 2017 წლის მონაცემები


2020 წლის ბიუჯეტის გეგმის მიხედვით, ხარჯები განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროზე 12.7 მლრდ. ლარი იყო და მოსალოდნელია გაიზარდოს 1.2%-ით 12.8 მლრდ. ლარამდე 2021 წელს. აღნიშნულის წილი ჯამურ დანახარებებში 11.3% იყო 2020 წელს და გათვალისწინებულია 1.9 პ.პ.-ით, 13.2%-მდე გაიზარდოს 2021 წელს.

სკოლამდელ და ზოგად განათლებას აქვს ყველაზე დიდი წილი და მთლიანი სამთავრობო დაფინანსების 70%-ს შეადგენდა 2020 წელს. ეს შეიძლება აიხსნას იმ ფაქტით, რომ სკოლამდელი და ზოგადი განათლება ძირითადად სახელმწიფოს მიერ ფინანსდება, როდესაც უმაღლესი განათლების ხარჯების დიდი წილი სტუდენტებზე მოდის (კონკრეტული სტუდენტების ჯგუფის გარდა, რომლებიც მთავრობის მიერ გადახდილი გრანტებით/სტიპენდიებით სარგებლობენ).

გაფიქვი 4: გადასახადები სახელმწიფო ბიუჯეტიდან (მლნ. ლაჩი)




გაფიქვი 5: სახელმწიფოს მიერ 2020 წელს განათლებაზე გაწეული ხარჯების სტრუქტურა (მლნ. ლაჩი)



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

განათლებაზე გაწეული ხარჯებიდან, შინამეურნეობის ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი უმაღლეს (48%) და ზოგად განათლებაზე მოდის (37%). დანახარჯები საშუალო წლიურად 6.8%-ით გაიზარდა 6 წლიან პერიოდში და საშუალო ინფლაცია 2014-2020 წლებში 4% იყო, შესაბამისად ხარჯები რეალურად 2.6%-ით იზრდებოდა წლიურად, აღნიშნულ პერიოდში.

გაფიქვი 6: განათლებაზე დანახარჯების სტრუქტურა, სახელმწიფო დანახარჯების გათვალისწინებით 2020 წლის მდგომარეობით




წყარო: საქართველოს სტატისტიკის სამსახური, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

4.2 სკოლაგდელი განათლება

განათლება ადრეულ ასაკში უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან ის უყრის საფუძველს ბავშვის განვითარებას. ინვესტიციას ბავშვების ადრეულ განათლებაში აქვს დადებითი გავლენა მათ ჯანმრთელობაზე, კეთილდღეობაზე და სოციალიზაციაზე. ასევე, ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას გრძელვადიან პერიოდში.

ერთ ბალის აღსაზრდელზე, ბალების და პედაგოგების რაოდენობა იზრდება. ბალების რაოდენობა 2020/2021 სასწავლო წელს 1,647-მდე გაიზარდა, +6.9%-იანი ზრდა, 2017/2018 სასწავლო წელთან შედარებით. იმავე პერიოდში, მომვლელ-პედაგოგების რაოდენობამ 16,234-ს მიაღწია (+31%) და ბავშვების რაოდენობა -3%-ით შემცირდა, 158,000-მდე.


გრაფიკი 7: სკოლაგდელი განათლების და აღზრდის საჯარო დაწესებულებების ინდიკატორები (სასწავლო წლის დასაწყისში, ცადი)



წყარო: საქსტატი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

საბავშვო ბალებში ბავშვების რაოდენობა მცირდება და ერთ აღზრდელზე უფრო ნაკლები ბავშვია გათვალისწინებული. ერთ აღზრდელზე ბავშვების რაოდენობა ოთხ წლიან პერიოდში -26%-ით შემცირდა და 10-შეადგინა 2020/2021 სასწავლო წელს, ასევე, საშუალოდ ერთ ბალში 97 ბავშვია, რაც -9.3%-ით შემცირებას ნიშნავს, იმავე პერიოდში.

გზაფიკი 8: ბავშვების ზაოდენობა ერთ ბაღში და ბავშვების თანაფაჩდობა ერთ მასწავლებლებზე





წყაჩო: საქსტატი, ინფოჩმაციის თავისუფლების განვითაჩების ინსტიტუტი

ბაღების რაოდენობა არაპროპორციულად არის გადანაწილებული რეგიონების მასშტაბების გათვალისწინებით და თბილისი ყველაზე გადატვირთულია. თბილისში მთელი საქართველოს ბაღის ბავშვების 37% ცხოვრობს და აღმზრდელ-მასწავლებლების 31%. შესაბამისად, თბილისში აღსაზრდელთა რაოდენობა ერთ მასწავლებლებზე 12-ია, ხოლო ქვეყნის საშუალო 10-ს შეადგენს.

გზაფიკი 9: ბავშვების ზაოდენობა ბაღებში 2020/2021 სასწავლო წელს

გზაფიკი 10: აღმზრდელ-პედაგოგთა ზაოდენობა 2020/2021 სასწავლო წელს




- თბილისი
- იმერეთი
- ქვემო ქართლი
- აჭარა
- კახეთი
- შიდა ქართლი
- სამეგრელო / ზემო სვანეთი
- სსკ რეგიონები

წყაჩო: საქსტატი, ინფოჩმაციის თავისუფლების განვითაჩების ინსტიტუტი

4.3 ზოგადი განათლება

მოსწავლეთა რაოდენობა ბოლო წლებში გაიზარდა და 600,000-ს გადააჭარბა 2020/2021 სასწავლო წელს. ამჟამად, 2,309 ზოგად საგანმანათლებლო სკოლაა საქართველოში და ეს რიცხვი ბოლო 8 წელია მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. საჯარო სკოლები მთელი სკოლების რაოდენობის 90%-ს შეადგენენ. როცა, 2020/2021 წელს მოსწავლეების რაოდენობამ 609 ათასს მიაღწია, რაც 2012/2013 წლის მაჩვენებელთან შედარებით +9%-იანი ზრდაა.


გრაფიკი 11: ზოგად საგანმანათლებლო სკოლები და მოსწავლეთა რაოდენობა




წყარო: საქსტატი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

COVID-19-ის პანდემიამ შეამცირა კერძო სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობა -5%-ით, საჯარო სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობის ზრდის ხარჯზე. აღნიშნულის ძირითადი გამომწვევ მიზეზად 2020 წელს მშპ-ს -6.2% -იანი ვარდნა შეგვიძლია მივიჩნიოთ. დღეისათვის მოსწავლეების თითქმის 90% საჯაროს სკოლაში სწავლობს, მაგრამ ეს წილი მცირდება ეკონომიკურ ზრდასთან ერთად და კერძო სკოლები უფრო მიმზიდველი ხდება 2020/2021 სასწავლო წლამდე. კერძო სკოლების მიმზიდველობის ზრდა შეიძლება აიხსნას მაღალი ხარისხის განათლებით, უფრო უკეთესი ტექნიკური მხარდაჭერით და უსაფრთხოების უფრო მაღალი დონით.

გრაფიკი 12: მოსწავლეთა ხაოდენობა სკოლაში (000')




გრაფიკი 13: კეძო სკოლებში მოსწავლეთა ხაოდენობის ზრდა (წ.წ.) და ჰეაღუჰი მშპ-ს ზრდა



წყარო: საქსტატი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

მასწავლებლის პროფესია უფრო ნაკლებად მიმზიდველია საქართველოში. რაც შეიძლება გამოწვეული იყოს ფაქტით, რომ მასწავლებლების საშუალო ხელფასი -40%-ით უფრო დაბალია, ქვეყანაში არსებულ საშუალო ხელფასთან შედარებით. მასწავლებლების რაოდენობამ 64,000 შეადგინა 2020/2021 სასწავლო წელს, -7%-ით ნაკლები, 2013/2014 სასწავლო წელთან შედარებით. თუმცა, იმავე პერიოდში მოსწავლეთა რაოდენობა ერთ მასწავლებელზე 24%-ით (8.0-მდე) და 13%-ით (9.5-მდე) გაიზარდა კერძო და საჯარო სკოლებში, შესაბამისად.

**გრაფიკი 14: მასწავლებლების ხაოფენობა (000')
და მოსწავდეების ხაოფენობა ეხო მასწავდეებზე**



გრაფიკი 15: საშუალო ხელფასები თვეში (ლახი)




წყახო: საქსტატი, ინფოხმაცის თავისუფლების განვითახების ინსტიტუტი


2019 წელს თბილისში იყო საქართველოს მოსწავლეების 34%, მასწავლებლების 22%, და სკოლების 12%. მასწავლებლებზე მოთხოვნა უფრო მაღალია თბილისში. ერთ მასწავლებელზე მოსწავლეთა რაოდენობა დედაქალაქში 14-ს შეადგენს, რაც

მიუხედავად იმისა, რომ დაწყებითი და საბაზო განათლება საქართველოში აუცილებელია, იმ მოსწავლეების 42% ვინც 2019/2020 წელს სწავლა მიატოვა მეთე კლასის ქვემოთ იყო. საერთო ჯამში, მოსწავლეთა თითქმის 1.4%-მა მიატოვა სკოლა 2019/2020 სასწავლო წელს. ბიჭების წილი ამ მოსწავლეებში 59%-ი იყო.

გრაფიკი 18: მოსწავლეების განაწილება ზოგად საგანმანათლებლო სკოლებში კლასების მიხედვით (სასწავლო წლის დასაწყისში, 000')




გრაფიკი 19: მოსწავლეები ვინც მიატოვეს სკოლა 2019/2020 სასწავლო წელს



წყარო: საქსტატი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

სკოლის დამამთავრებელი გამოცდების კრიტერიუმები შეიძლება ძალიან დაბალია საქართველოში. სკოლას მოსწავლეების 96% ამთავრებს, რაც სამხრეთ კორეის მერე ყველაზე მაღალი მაჩვენებელია მსოფლიოში. როცა, PISA-ს ტესტირების ქულები და სხვა ხარისხის განმსაზღვრელი ინდიკატორები აჩვენებს, რომ სკოლის საგანმანათლებლო პროგრამა და განათლების ხარისხი ქვეყენაში დაბალია.

გრაფიკი 20: ქვეყნები ყველაზე მაღალი სკოლის კუხსდამთავრებულების კოეფიციენტით (%)




წყარო: World atlas, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

4.4 პროფესიული განათლება

პროფესიული სასწავლებლების პოპულარობა საგრძნობლად შემცირდა ბოლო შვიდი წლის განმავლობაში. პროფესიული სასწავლებლების რიცხვი 2020 წელს 92 იყო და თითქმის არ შეცვლილა 2013 წელთან შედარებით. თუმცა, სტუდენტების რაოდენობა -55%-ით შემცირდა იმავე პერიოდში და 9,399 შეადგინა. ეს შეიძლება აიხსნას პროფესიული სასწავლებლების არაპოპულარობითა და დაბალი ხარისხის განათლებით. ასევე, შემცირდა კერძო პროფესიული სასწავლებლების წილი 57%-მდე (-15 პროცენტული პუნქტი) იმავე პერიოდში, რაც ბიზნეს სექტორის დაბალ ინტერესზე მიუთითებს აღნიშნული სასწავლებლების მიმართ.


გრაფიკი 21: პროფესიული სასწავლებლების რაოდენობა, კერძო სასწავლებლების წილი (%) და ჩაიხიციხე სტუდენტების რაოდენობა



წყარო: საქსტატი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ჩარიცხული სტუდენტების 39% თბილისში სწავლობს, მაგრამ კურსდამთავრებულების წილი (36%) ქვეყნის საშუალო მაჩვენებელზე დაბალია. თბილისში ერთ სტუდენტზე მასწავლებლების რაოდენობა 1.6-ია, რაც ასევე ქვეყნის საშუალო მაჩვენებელზე (2.1) დაბალია. სხვა რეგიონებში აჭარა ლიდერობს ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობით (17%), და 48%-იანი კურსდამთავრებულების წილით, რომელიც ქვეყნის საშუალო მაჩვენებელზე ბევრად მაღლაა.


გაფიკი 22: გენიკუხ სასწავლებლებში ჩაჩიცხუდი სტუდენტების ზაოფენობა, მასწავლებლების ზაოფენობა და კუხის დამთავხების კოეფიციენტი 2020 წელს



წყაო: საქსტატი, ინფოჩმაციის თავისუფლების განვითაჩების ინსტიტუტი

საქართველოსთან შედარებით, ევროკავშირში მოსწავლეების თითქმის ნახევარი პროფესიულ სასწავლებელს ირჩევს მე-9 კლასის შემდეგ, როდესაც საქართველოში ეს მაჩვენებელი მხოლოდ 1%-ია. ეს განსხვავება შეიძლება აიხსნას საქართველოში პროფესიული სასწავლებლების არაპრესტიჟულობით და სამუშაო ბაზარზე რეგულაციების არ არსებობით, რომელიც დასაქმებულს ლიცენზიას ან სერტიფიკატს მოსთხოვდა.

გაფიკი 23: პროფესიულ განათების პროგრამებზე ჩაჩიცხუდი სტუდენტები წიდი ევროკავშირის ქვეყნებში და საქაოფეროში 2018 წელს (%)



წყაო: ევროსტატი, საქსტატი, ინფოჩმაციის თავისუფლების განვითაჩების ინსტიტუტი


საერთო ჯამში, პროფესიული პროგრამები შრომითი ბაზრის მოთხოვნებს სრულად ვერ პასუხობს. შესაბამისად, პროფესიულ განათლების სისტემას ფუნდამენტური ცვლილებები სჭირდება. კერძო სექტორის უფრო მაღალი ჩართულობა და უკეთესი ხარისხის სასწავლო პროგრამებს შეუძლია პროფესიული სასწავლებლების პოპულარობა გაზარდოს და გააუმჯობესოს დღევანდელი მდგომარეობა.

4.5 უმაღლესი განათლება


უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე მოთხოვნა გაიზარდა. სტუდენტების რაოდენობა ერთ უნივერსიტეტზე საშუალოდ 2,500 გახდა 2020/2021 სასწავლო წელს, +27%-ით მეტი 2012/2013 წელთან შედარებით. უნივერსიტეტების რაოდენობა 2012 წლიდან იზრდებოდა და 2017/2018 სასწავლო წელი 75-ს მიაღწია, მაგრამ მას შემდეგ შემცირდა და 2020/2021 სასწავლო წლისთვის 64-ია.

კერძო უმაღლესი სასწავლებლები უფრო მოთხოვნადია. სტუდენტების რაოდენობა კერძო უნივერსიტეტებში გაიზარა 157,000-მდე 2020 წელს, +92%-ით მეტი 2012 წელთან შედარებით. თუმცა, საჯარო სასწავლებლებში ზრდა მხოლოდ +18%-ით იყო, იმავე პერიოდში. საჯარო სასწავლებლებს უფრო მეტი სტუდენტის მიღება შეუძლიათ, მატერიალურ-ტექნიკური ბაზიდან გამომდინარე და სტუდენტების ერთ უნივერსიტეტზე 5,300 იყო 2020/2021 სასწავლო წელს, 4-ჯერ მეტი კერძო სასწავლებლებთან შედარებით.

გრაფიკი 24: სტუდენტების რაოდენობა და %-უდი წილი კერძო უმაღლეს სასწავლებლებში



გრაფიკი 25: უმაღლესი სასწავლებლების ხაოფენობა და კერძო უნივერსიტეტების %-უდი წილი




წყარო: საქსტატი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

კურსდამთავრებულთა წილი კერძო უნივერსიტეტებში უფრო მცირეა, სახელმწიფო სასწავლებლებთან შედარებით. საშუალო კურსდამთავრებულთა წილი ერთ მიღებულ სტუდენტზე⁴ საჯარო უმაღლეს სასწავლებელში 69% იყო 2012-2020 წლებში, +16%-ით მეტი, კერძო უნივერსიტეტებთან შედარებით, იმავე პერიოდში.


უმაღლესი სასწავლებლები გადატვირთულია და კურსდამთავრებულების მცირე რაოდენობის მიზეზი შეიძლება სავალდებულო სამხედრო სამსახური იყოს. სტუდენტები განთავისუფლებულნი არიან სამხედრო სამსახურისგან სწავლის პერიოდში, რაც შესაძლოა ზრდის გამოცდებში ჩაჭრილი სტუდენტების რაოდენობას, იმ მიზნით რომ გახანგრძლივდეს სასწავლო პერიოდი. ასევე, სტიმულს აძლევს ახალგაზრდებს (27 წლამდე) ჩააბარონ დოქტორანტურაზე ადრეულ ასაკში.

⁴ ჩვენ გამოვთვალეთ საშუალო კურსდამთავრებულთა წილი ერთ სტუდენტზე, მიღებული სტუდენტების ხაოფენობისა და ოთხ წლიანი სასწავლო პერიოდის გათვალისწინებით.

გაფიკი 26: ჩაიციხული და კუხსდამთავრებული სტუდენტების ხაოდეწობა საჯახო უმაღლესი სასწავლებლების პიოგამებზე (000')




გაფიკი 27: ჩაიციხული და კუხსდამთავრებული სტუდენტების ხაოდეწობა კეიძო უმაღლესი სასწავლებლების პიოგამებზე (000')



წყახო: საქსტატი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

შეუსაბამო განათლების მქონე ადამიანური კაპიტალი და ცუდი სამუშაო ეთიკა უკვე წლებია საქართველოში ბიზნესის კეთებისთვის მთავარ გამომწვევ ფაქტორად რჩება. უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა და დიპლომი არ წარმოადგენს მომავალი დასაქმებულის არჩევის ეფექტურ მექანიზმს კერძო სექტორისათვის და უბიძგებს კომპანიებს დიდწილად დაეყრდნონ და შექმნან თავიანთი შერჩევის კრიტერიუმები.

გრაფიკი 28: საქართველოში ბიზნესის კეთებისთვის გამომწვევი ფაქტორები 2017 წელს



წყარო: მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი (Executive Opinion Survey 2017), ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

საერთო ჯამში, მოთხოვნა უმაღლეს სასწავლებლებზე მაღალია მაგრამ უნივერსიტეტის დიპლომი ხშირ შემთხვევაში არ ნიშნავს მაღალ-ანაზღაურებად სამუშაოზე დასაქმებას. ხშირად კურსდამთავრებულები არ მუშაობენ სწავლის პერიოდში შერჩეული პროფესიით. უმაღლესი განათლების სისტემა აწვდის ეკონომიკას კურსდამთავრებულებს, რომლებიც არ არიან მზად თანამედროვე შრომითი ბაზრის მოთხოვნებს უპასუხონ.

წლების მანძილზე, სავალდებულო სამხედრო სამსახურისგან თავის დაღწევისთვის მთავარ გზად უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვა ითვლებოდა. ეს გამოწვევა იმდენად აშკარა იყო, რომ პოლიტიკურმა პარტია „გირჩმა“ კანონში აღმოაჩინა ხვრელი და დააარსა რელიგიური ორგანიზაცია „ბიბლიური თავისუფლება“, რომელიც ახალგაზრდებს აძლევს საშუალებას თავი აარიდონ სავალდებულო სამხედრო სამსახურს. 5 წლის მანძილზე, თითქმის 50,000-მა ადამიანმა ისარგებლა ამ გზით.

5. COVID-19 გავლენა განათლების სექტორზე

საქართველოს განათლების სექტორი COVID-19 პანდემიის შედეგად ახალი გამოწვევების წინაშე დგას. პანდემიამ განათლების სექტორი მკვეთრად შეცვალა, მსოფლიოს მასშტაბით დაიხურა სკოლები და უნივერსიტეტები. შედეგად, ციფრულ პლატფორმებზე ელექტრონული სწავლება რჩება დღემდე ერთადერთ უსაფრთხო შესაძლებლობად სწავლის პროცესის გასაგრძელებლად.

დისტანციური სწავლებისთვის საჭირო პირობების გათვალისწინებით, განვითარებადი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა მოსწავლეებისა და სტუდენტების დისტანციური სწავლების პროცესში ჩართვა. მაშინ, როდესაც ქვეყანას დანაზოგების ნაკლებობა და მაღალი უმუშევრობა აქვს. გამოწვევები მოიცავს: საჭირო ტექნიკის არ ქონას (კომპიუტერი, პლანშეტი, მობილური ტელეფონი, ა.შ.), ისევე როგორც ინტერნეტთან წვდომას (განსაკუთრებით რეგიონში მცხოვრები მოსახლეობისთვის).


5.1 ტელეკომუნიკაციების სექტორი

ინტერნეტი ყოველდღიურად უფრო პოპულარული ხდება საქართველოში. ინტერნეტ აბონენტების რაოდენობა +8.7%-ით და +5.8%-ით გაიზარდა წ.წ. 2019 და 2020 წლებში, შესაბამისად, და მილიონამდე აბონენტს მიაღწია. საქართველოს ტელეკომუნიკაციების სექტორში სამი ძირითადი მოთამაშეა: მაგთიკომი, სილქნეტი და ვიონი საქართველო. ვიონი მხოლოდ ფიჭურ ინტერნეტს სთავაზობს მომხმარებელს, როცა მაგთიკომს და სილქნეტს ბაზრის დიდი წილი უჭირავთ ფიქსირებული ინტერნეტის, ისევე როგორც ფიჭური კავშირგაბმულობის მომსახურებაში.


მაგთიკომისა და სილქნეტის წილი 2020 წლის ინტერნეტ აბონენტების მთლიანი რაოდენობის 47% და 30% შეადგინა, შესაბამისად და დარჩენილი (22%) კი სხვა 150 მცირე ზომის პროვაიდერს შორის იყო განაწილებული.

საქართველოში ინტერნეტ მომსახურების ბაზრის ზომამ ყველა დროის პიკურ მაჩვენებელს 276 მლნ ლარს, 2020 წლის ბოლოს მიაღწია. მთლიანი შემოსავლის 82% მაგთიკომმა და სილქნეტმა გაინაწილეს, ხოლო დარჩენილი 18% ყველა დანარჩენმა ინტერნეტ პროვაიდერმა.

**გაფიკი 29: ინტერნეტ მომხმარებლების
რაოდენობა**




**გაფიკი 30: შემოსავალი ინტერნეტ
სეხვისიდან (მლნ ლაჩი)**



წყარო: კომუნიკაციების კომისია, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

მაღალი ხარისხის ინტერნეტი ნაკლებად ხელმისაწვდომია სოფლებში და მთიან რეგიონებში. ყველაზე ხშირად გამოყენებადი ინტერნეტ ტექნოლოგია ოპტიკურ-ბოჭკოვანია, რომლითაც 2020 წლის მომხმარებლების თითქმის 84% სარგებლობდა, +2% და +9%-ით უფრო მეტი ვიდრე 2019 და 2018 წლებში, შესაბამისად. თუმცა, ოპტიკურ ბოჭკოვანი ინტერნეტის მიწოდება ინფრასტრუქტურულ ხარჯებთან არის კავშირში და სოფლებში ნაკლებად გვხვდება. რეგიონების მოსახლეობა უფრო ნაკლებად ხარისხიან ტექნოლოგიებს იყენებს, როგორც არის LTE, CDMA და Wi-Fi.

გაფიკი 31: გამომწეხთა წილი ტექნოლოგიის მიხედვით




წყარო: კომუნიკაციების კომისია, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი


ფიქური კავშირის შემთხვევაში, ბაზრის წილი უფრო თანაბრად არის გადანაწილებული მაგთიკომს, სილქნეტსა და ვიონი საქართველოს შორის. მომხმარებლები ხშირად რამდენიმე მომწოდებლისგან ყიდულობენ მომსახურებას და შესაბამისად აბონენტების რაოდენობა უფრო მაღალია ვიდრე მოსახლეობის რაოდენობა.

2020 წლის ბოლოს, ფიქური ინტერნეტის მომსახურების ბაზრის ღირებულება 0.5 მლრდ. ლარი იყო, თითქმის უცვლელი წინა ორ წელთან შედარებით. მაგთიკომის შემოსავალი მთლიანი ბაზრის 45% იყო 2020 წელს, რაც 2.5 ჯერ უფრო მეტია ვიდრე ვიონის, რომელსაც თითქმის იგივე რაოდენობის აბონენტები ყავს.

გრაფიკი 32: მობილური აბონენტების რაოდენობა (მლნ)



გრაფიკი 33: შემოსავალი ფიქური კავშირგაბმულობის სექტორიდან (მლნ ლარი)




წყარო: კომუნიკაციების კომისია, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი


ფიქური ინტერნეტი ფართოზოლოვანი ოპტიკურ ბოჭკოვანი ინტერნეტის ალტერნატივაა, განსაკუთრებით რეგიონებში და ინტერნეტის ხარჯიც უფრო მაღალია. ბოლო რამოდენიმე წელში აბონენტების რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა, თუმცა 2020 წელს, მნიშვნელოვნად არ შეცვლილა და 3.3 მლნ-ს შეადგენდა. ბაზრის წილი თითქმის იდენტურად არის განაწილებული ტელეკომუნიკაციების პროვაიდერ სამ მთავარ კომპანიაზე და თითოეულს მთელი ბაზრის დაახ. ერთი მესამედი აქვს ათვისებული.

შეზღუდვებმა ქვეყანაში ინტერნეტის მოხმარება თითქმის 2.2 ჯერ გაზარდა. COVID-19 პანდემიის გავლენა და შეზღუდვების ეფექტი მნიშვნელოვნად აისახა ფიჭური ინტერნეტის მოხმარებაში. 2020 წლის მანძილზე, ფიჭური ინტერნეტის მოხმარება 192,315 ტერაბაიტს აცდა, რაც თითქმის 120%-იან მატებას ნიშნავს 2019 წელთან შედარებით. მოხმარება თითქმის გასამმაგდა მაგთიკომისა და სილქნეტის აბონენტებში და არ შეიცვალა ვიონი საქართველოს აბონენტებში.

გრაფიკი 34: ფიჭური ინტერნეტის მოხმარება (მბ)



გრაფიკი 35: ინტერნეტის მოხმარება (გბ)



■ მაგთიკომი ■ სილქნეტი ■ ვიონი საქართველო

წყარო: კომუნიკაციების კომისია, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი



5.2 ტექნოლოგიასა და ინტერნეტთან წვდომა


მსოფლიოში ეკონომიკის გაციფრულების პროცესი დაწყებულია. განვითარებული და განვითარებადი ქვეყნები სულ უფრო ფართოდ იყენებენ თანამედროვე ტექნოლოგიებს მმართველობის ეფექტურობის გასაზრდელად. განათლების სექტორი ამ მხრივ არ წარმოადგენს გამონაკლისს, განსაკუთრებით COVID-19 პანდემიის პირობებში. ტექნოლოგიასთან წვდომა აუცილებელია დისტანციური სწავლების პროცესში. საქართველოში გამოვლინდა მნიშვნელოვანი გამოწვევები ამ მიმართულებით:

- ◆ მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს არ აქვს სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი ტექნიკა;
- ◆ დედაქალაქის გარეთ სირთულეებია ხარისხიან ინტერნეტთან წვდომის კუთხით;
- ◆ სოფლად კარგი ხარისხის ინტერნეტი თითქმის არ არის;
- ◆ ეკონომიკური გამოწვევები და გაკვეთილებზე დასწრების შესაძლებლობის არ ქონა;
- ◆ არიან მოსწავლეები ვისაც არ გამოუყენებიათ დისტანციური სწავლებისთვის საჭირო პროგრამა;
- ◆ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის ინტერაქციის სირთულეები.

მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს არ აქვს ონლაინ სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებები

სკოლების კომპიუტერებით აღჭურვა და შესაბამისი ტრენინგის ჩატარება კვლავ გამოწვევად რჩება. უახლესი ხელმისაწვდომი მონაცემების მიხედვით, 2009/2010 სასწავლო წელს სკოლების 94% აღჭურვილი იყო კომპიუტერებით და ყოველ 20 ბავშვზე ერთი კომპიუტერი იყო სკოლაში. თუმცა, ძველი ტექნიკის რეგულარული განახლებისა და შესაბამისი ტრენინგების ჩატარების შესახებ ბავშვებისა და მასწავლებლებისთვის, ინფორმაცია არ მოიპოვება.

გრაფიკი 36: სკოლებში კომპიუტერების ხელმისაწვდომობა (სასწავლო წლის დასაწყისში)




- კომპიუტერებით აღჭურვილი სკოლების რაოდენობა, ცალი
- კომპიუტერების რაოდენობა, ცალი
- ამ სკოლების წილი მთლიანად სკოლების რაოდენობიდან, % (მარჯ. ღერძი)

წყარო: საქსტატი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

საქართველოს განათლების სისტემაში დისტანციური სწავლება, პანდემიამდე არასდროს გამოუყენებიათ და შესაბამისად ქვეყანა მოუმზადებელი დახვდა ამ ახალ გამოწვევას. შინამეურნეობების 38%-ს არ ჰქონდა კომპიუტერი და 16%-ს კი ინტერნეტთან წვდომა. აღსანიშნავია, რომ აზიის განვითარების ბანკის კვლევაზე დაყრდნობით: „სწავლის და შემოსავლის დანაკარგები COVID-19 პანდემიით გამოწვეული სკოლების დახურვისგან“, საქართველოში შინამეურნეობების ნახევარზე ნაკლებს აქვს წვდომა ინტერნეტზე და კომპიუტერზე, მაშინ, როდესაც ჩვენს მეზობელ აზერბაიჯანში და სომხეთში აღნიშნული მაჩვენებელი 60%-ზე მაღალია.

დისტანციური სწავლება უფრო რთულია სოფლებში და რეგიონებში, ქალაქებთან შედარებით. მაღალი უთანასწორობა ძირითადად ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური სტატუსით არის გამოწვეული. 2020 წელს სოფლად მცხოვრები ოჯახები 68%-ს არ ქონდა ინტერნეტი, როდესაც ეს რიცხვი ქალაქებში 24%-ია.

გრაფიკი 37: შინამეუღნეობების წილი ვისაც აქვს კომპიუტერი (%)



წყარო: საქსტატი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი


დეჯაქაქის გარეთ სირთულეებია ხარისხიან ინტერნეტთან წვდომის კუთხით

თბილისში მცხოვრებ ოჯახებს ძირითადად აქვთ ინტერნეტთან წვდომა (91%), როცა სოფლად მცხოვრები მოსახლეობის მხოლოდ 74%-ს ქონდა ინტერნეტი 2020 წელს. ასევე, კომპიუტერისა და ინტერნეტის გამოყენებისთვის საჭირო ცოდნა განსაკუთრებით სოფლად მცხოვრებ მოსახლეობაში მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს, მათ 37%-ს არასდროს უსარგებლია ინტერნეტით, როცა ეს რიცხვი ქალაქის მოსახლეობისთვის 17%-ია.


საქართველოში 35,000 ბავშვს⁵ არასდროს გამოუყენებია ინტერნეტი და არ ჰქონდა წვდომა დისტანციურ სწავლებაზე. ეს ციფრი 2020 წლის ივლისში, 5-დან 14 წლამდე ბავშვებში დაახ. 7% იყო, მაშინ როცა უკვე განათლების სისტემა მთლიანად დისტანციურ სწავლაზე იყო გადასული.

⁵ საქსტატის აღწერის თანახმად, 2020 წლის იანვარში, საქართველოს მასშტაბით 492,200 ბავშვი იყო 5-14 წლის ასაკის.

გაფიკი 38: შინამეუხნეობების წილი ვისაც ააქვს ინტერნეტი (%)



გაფიკი 39: მოსახლეობის წილი (%) ვისაც ახასდროს ახ გამოუყენებია ინტერნეტი



წყარო: საქსტატი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ინტერნეტის დაფარვა შინამეურნეობების მიხედვით თბილისსა და აჭარაში მა-
ლალი იყო და 122% და 103% შეადგინა, შესაბამისად. ეს ძირითადად ტურიზმითა
და კომერციული სივრცეებით აიხსნება. თუმცა, ინტერნეტის დაფარვა სოფლებში
და განსაკუთრებით მთიან რეგიონებში, როგორც არის რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო
სვანეთი არ იყო საკმარისი დისტანციური სწავლებისათვის.

**ცხილი 2: ინტერნეტის დაფარვა შინამეურნეობების
გათვალისწინებით და რეგიონების მიხედვით 2020:**


რეგიონი	შინამეურნეობები	აბონენტები	დაფარვა (%)
თბილისი	313,576	382,419	121,95%
აჭარა	70,500	72,493	102,83%
ქვემო ქართლი	106,381	68,734	64,61%
შიდა ქართლი	90,775	40,243	44,33%
მცხეთა-მთიანეთი	30,463	13,493	44,29%
სამცხე-ჯავახეთი	58,895	25,253	42,88%
კახეთი	115,644	47,770	41,31%
იმერეთი	145,760	78,789	54,05%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	118,045	41,532	35,18%
გურია	40,623	8,912	21,94%
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	14,481	224	1,55%

წყარო: საქსტატი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი


სოფლად კარგი ხარისხის ინტერნეტი თითქმის არ არის

მოძველებული ტექნოლოგიების გამოყენებით მიწოდებული ინტერნეტის დაბალი
ხარისხი, მნიშვნელოვანი გამოწვევაა დისტანციური სწავლების პროცესისთვის.
დისტანციურ სწავლისთვის მაღალი ხარისხის ინტერნეტი საჭირო, რომ სასწავლო
პროცესი არ შეფერხდეს. ოპტიკური ინტერნეტის აბონენტების ნახევარზე მეტი
თბილისში ცხოვრობს, როცა საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ მესამედია
დედაქალაქის პოპულაცია, რაც ნიშნავს რომ მაღალი ხარისხის ინტერნეტი არა-
თანაბრად არის გადანაწილებული ქვეყანაში. ოპტიკური ტექნოლოგია ასევე ხელ-
მისაწვდომიას სხვა ქალაქებში, მაგრამ სოფლებში მეტწილად არ გვხვდება.

გაფიკი 40: ოპტიკური ინტენიენის აბონენტების განაწილება (%) ქადაქების მიხედვით



გაფიკი 41: ოპტიკუი-ბოჭკოვანი ინტენიენის მომხმარებლების წილი (%) ქადაქებში ჰევისტიხიებული სხუი აბონენტებიდან




წყახო: კომუნიკაციების კომისია, ინფოხმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ეკონომიკური გამოწვევები და გაკვეთილებზე დასწრების შესაძლებლობის არ ქონა

COVID-19-მა გაზარდა სიღარიბის დონე საქართველოში. აბსოლუტური სიღარიბის ქვეშ მყოფი მოსახლეობის წილმა 21.3%-ს მიაღწია 2020 წელს, რაც +0.8 პროცენტული პუნქტით მეტია 2019 წლის მაჩვენებელზე. 2019 წელს მთელს OECD ქვეყნებში მხოლოდ კოსტა რიკას ქონდა უფრო მაღალი სიღარიბის მაჩვენებელი (19.9%) ვიდრე საქართველოს აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებელი იყო.

გრაფიკი 42: სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის წილი OECD ქვეყნებში და საქართველოში 2019 წელი (%)




წყარო: სტატისტიკა, საქსტატი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

შენიშვნა: საქართველოში სიღარიბის მაჩვენებელი აღნიშნავს მოსახლეობას აბსოლუტური სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ხოლო OECD-ში იმ ადამიანების წილს ვისი შემოსავალიც, შინამეურნეობების განკარგვადი შემოსავლების მედიანის ნახევარზე ნაკლებია.

საქართველოში ბავშვები უფრო მეტად დგანან სიღარიბის რისკის ქვეშ, უფროსი თაობის მოსახლეობასთან შედარებით. 2020 წელს, 17 წლის და უფრო დაბალი ასაკის მოსახლეობაში აბსოლუტური სიღარიბის ზღვარს ქვევით მცხოვრები ბავშვების წილი 26.4% იყო, რაც 2019 წლის მაჩვენებელზე +2 პროცენტული პუნქტით მაღალია. ბავშვები, რომლებიც სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ ოჯახებში იზრდებიან, მეტად დაუცველები არიან კორონავირუსის სწრაფი გავრცელების წინააღმდეგ და უფრო მაღალია მათი სწავლის პროცესის შეწყვეტის ალბათობა. ასევე, სიღარიბე უფრო დიდი გამოწვევაა სოფლად ვიდრე ქალაქში.

გრაფიკი 43: მოსახლეობის წილი აბსოლუტური სილაჩიბის ზღვას ქვემოთ (%)



წყარო: საქსტატი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

წინასწარი გათვლებით, დაახლოებით 100 მლნ ლარამდე⁶ საჭირო სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის კომპიუტერებისა და ინტერნეტის მისაწოდებლად, რომ მათ დისტანციურ სწავლების პლატფორმასთან წვდომა ჰქონდეთ. Charte⁷-მ შეისწავლა სოციალურად დაუცველ ოჯახებში მცხოვრები სტუდენტების პირობები დისტანციურ სწავლის ხელმისაწვდომობის კუთხით. სოციალური მომსახურების სააგენტოს ცნობებზე დაყრდნობით, საქართველოში 96,000 სტუდენტი ცხოვრობს სოციალურად დაუცველ ოჯახებში და აქედან 78,000-ს არ აქვს წვდომა ინტერნეტთან ან კომპიუტერთან. ინტერნეტ კავშირის უზრუნველყოფით, შესაძლებელია განათლების შესაძლებლობების გაუმჯობესება და ცხოვრების ხარისხის გაზრდა გრძელვადიან პერიოდში, ეკონომიკური განვითარების გზით.


⁶ მაჩვენებელი გამოთვლილია ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ charte.ge-სთან კონსულტაციის შედეგად. იმის გათვალისწინებით რომ ერთი ბავშვის კომპიუტერით და ინტერნეტით აღჭურვა საშუალოდ 1200 ლარი ჯდება, ხოლო დღეის მდგომარეობით, 78,000-მდე ბავშვი საჭიროებს აღნიშნულ დახმავებას.

⁷ Charte.ge ახის საქვედმოქმედო დისტანციური პლატფორმა, რომელიც 2017 წელს შეიქმნა. პროექტის ავტორი საგანმანათლებლო ფონდი "Educare Georgia"-ა. მიზანია მსოფლიო დონის განათლება ხელმისაწვდომი გახდეს საქართველოში მცხოვრები ყველა ადამიანისთვის, ინტერნეტისა და თანამედროვე ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის გაზრდით. ორგანიზაციამ უკვე გადასცა დეპოზიტი 1,300-ზე მეტ ოჯახს ან დაუფინანსა ინტერნეტზე გადასახადები.

ბარკვეუდ მოსწავლეებს და კვლავ მოგვებს არ გამოუყენებიათ დისტანციური სწავლებისთვის საჭირო პროგრამა

Unicef-ის კვლევის თანახმად, ბავშვების რაოდენობა ვინც ვერ შეძლო COVID-19 პანდემიით გამოწვეულ ელექტრონულ სწავლებაში ჩართვა, საკმაოდ მაღალი იყო. სკოლების დახურვა მსოფლიოს მასშტაბით 1.5 მლრდ ბავშვს შეეხო და საერთაშორისო დონეზე მინიმუმ 463 მილიონმა ბავშვმა ვერ მოახერხა დისტანციურ სწავლებაში ჩართულობა.

გრაფიკი 44: ბავშვების მინიმალური ხაოფენობა ვისაც ვეი ახეხებს დისტანციურ სწავლებაში ჩართვას (%)




წყარო: Unicef, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი


საქართველოს მოსახლეობისთვის დისტანციურ სწავლების პროცეში ჩართვა ასევე რთული იყო. სკოლები დისტანციურ გაკვეთილებისთვის პროგრამა TEAMS-ს იყენებდნენ. 2020/2021 სასწავლო წელს 65 ათასმა ბავშვმა და 7 ათასმა მასწავლებელმა დააფიქსირა, რომ TEAMS-ი არ გამოუყენებიათ. რაც მოსწავლეებისა და მასწავლებლების დაახ. 11%-ს შეადგენს.

სოციალური უთანასწორობა განსაკუთრებით თვალშისაცემია რეგიონებში. იმ მოსწავლეებიდან და მასწავლებლებიდან, რომლებსაც არ გამოუყენებიათ პროგრამა TEAMS, რეგიონებზე მოდის ჯამური მაჩვენებლების 91% და 98%, შესაბამისად. თბილისში აღნიშნული პრობლემა ნაკლებად მწვავეა და მოსწავლეების და მასწავლებლების მხოლოდ 9% და 2% არ იყენებდა სასწავლო პროგრამას.

გრაფიკი 45: ბავშვების ჩაოქმედება საჯარო სკოლებში ვისაც ახ გამოუყენებია TEAMS-ი 2020/2021 სასწავლო წელს.



გრაფიკი 46: მასწავლებლების ჩაოქმედება საჯარო სკოლებში ვისაც ახ გამოუყენებია TEAMS-ი 2020/2021 სასწავლო წელს.



წყარო: საქსტატი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

საერთო ჯამში, COVID-19-მა გააუარესა საცხოვრებელი პირობები მოსახლეობისთვის და ყველაზე მეტადა ბსოლუტურ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები მოსახლეობა დააზარალა. ქვეყანაში მაღალი სიღარიბის მაჩვენებელი განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობებისთვის ერთ-ერთი მთავარი გამონწვევაა. სოციალურად დაუცველ ოჯახებში მცხოვრები ბავშვებისთვის, განათლების მიღების ერთადერთი საშუალება უფასო საჯარო სკოლებია. თუმცა, შეზღუდვების დროს ასეთ ოჯახებში მცხოვრები ბავშვებისთვის განათლება არ იყო ხელმისაწვდომი, ტექნოლოგიასთან წვდომის შეზღუდვის შედეგად. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მთავრობა მათ საჭირო ტექნიკით მოამარაგებდა, ელექტროობისა და ინტერნეტის ხარჯები მაინც დარჩებოდა სერიოზულ შემაფერხებელ ფაქტორად.

სწავლებისა და სწავლის პროცესი ინტერაქტიულია და სტუდენტების ჩართულობა სასარგებლოა მათი სწავლის პროცესისთვის, რაც რთულად მიიღწევა დისტანციური სწავლების დროს, განვითარებული ქვეყნების განათლების სისტემისთვისაც კი. სწავლა კოლაბორაციული პროცესია და ეს განსაკუთრებით შეუთავსებელი ჩანს ვირტუალურ გარემოში, რადგან ეს უპირატესობები მარტივად ვერ მიიღწევა დისტანციურ პრაქტიკებზე.


ბავშვებისთვის რთულია არსებული რეალობის გააზრება და COVID-19 პანდემიის შეზღუდვებთან შეგუება, რაც მათ უფრო მოწყვლადს ქმნის უფროს ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით. შესაბამისად, აუცილებელია რომ დისტანციურ სწავლის პროცესი სწორად იყოს დაგეგმილი და მოსწავლეების მოთხოვნებს მოერგოს, ისე რომ მათი სრული ჩართულობა უზრუნველყოს და არსებულ რეალობასთან გამკლავებაში დაეხმაროს.




5.3. შეზღუდვების გავლენა ეკონომიკაზე და სასწავლო პროცესზე

COVID-19-ის პანდემიის გამო ოჯახების მესამედის შემთხვევაში ერთმა წევრმა მაინც დაკარგა სამსახური და შინამეურნეობების 53%-ს შეუმცირდა ყოველთვიური შემოსავალი საქართველოში, მარტის თვიდან 2020 წლის ბოლომდე⁸. საქართველოს მთავრობის მიერ შემოღებული შეზღუდვების პოლიტიკა ოქსფორდის კორონავირუსის მიმართ მთავრობის რეაგირების კვლევის (OxCGRT) მიერ იყო გაზომილი სიმკაცრის ინდექსით⁹ და შედეგებმა აჩვენა, რომ საქართველოში მარტის თვიდან 2021 წლის იანვრის ჩათვლით საშუალო სიმკაცრის ქულა 100-დან 70 იყო.

გრაფიკი 47: შინამეურნეობების წიდი ხომლის წევრმა დაკარგა სამსახური ან შეუმცირდა შემოსავალი 2020 წელს



გრაფიკი 48: სიმკაცრის ინდექსი საქართველოში




წყარო: Unicef, OxCGRT, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

საქართველომ სიმკაცრის ინდექსით გადაასწრო ყველა სხვა ქვეყანას აზერბაიჯანის გარდა. საერთო ჯამში, სიმკაცრის ინდექსი აჩვენებს, რომ საქართველოს მთავრობის მიერ შემოღებული შეზღუდვების პოლიტიკა უფრო მკაცრი იყო ვიდრე ევროკავშირის ქვეყნებში.

⁸ უნიცეფის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად

⁹ გამოიყენებოდა მთავრობის პოლიტიკის სიმკაცრის დონის გასაზომად, ცხრა ინდიკატორზე დაყრდნობით. ხომლებიც მოიცავდა სკოლებისა და სამუშაო სივრცეების დაკეცვას, დიაპაზონი აჩის 0-დან 100-მდე (100 აჩის ყველაზე მკაცრი ზომები).

გრაფიკი 49: სიმკაცხის ინდექსი საქართველოში და სხვა ქვეყნებში 2020 წელს



წყარო: OxCGR, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

Unicef-ის 2020 წლის კვლევის თანახმად, მოსახლეობის თითქმის ნახევარს საშუალო თვიური ხელფასი შეუმცირდა 25%-ზე მეტით. გარდა ამისა, კრიზისთან გასამკლავებლად იმ შინამეურნეობების 83%-მა ვინც COVID-19 პანდემიისგან დაზარალდა, კვების გარდა სხვა საოჯახო ხარჯები შეამცირა, 67%-მა კვებაზე ხარჯები, 50%-მა თავიანთი დანაზოგების ხარჯვა დაიწყო და 46%-მა ახლობლებისგან და მეგობრებისგან ისესხეს ფული.

გრაფიკი 50: შინამეურნეობების წიდი, ვისი საშუალო თვიური შემოსავალი შემცირდა




წყარო: Unicef, საქსტატი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

მოსწავლეები კვლავ სწავლების ტრადიციულ ზომებს ირჩევენ, COVID-19 პანდემიის რისკების მიუხედავად. შეზღუდვების შემდეგ სკოლების კვლავ გაიხსნა და მოსწავლეების ნახევარზე მეტი საკლასო ოთახებში დაბრუნდა.

სოფლებში მცხოვრები მოსწავლეების 75% სკოლების გახსნის შემდეგ, საკლასო ოთახებში დაბრუნდნენ, ხოლო ქალაქებში ამ რიცხვმა მხოლოდ 46% შეადგინა. დისტანციური სწავლებისთვის აუცილებელი ტექნიკის არ ქონა და ინტერნეტთან დაბალი ხელმისაწვდომობა შეიძლება იყოს ის მიზეზები, რომლებიც სოფლად მცხოვრებ მოსწავლეებს აიძულებს უფრო მეტად იყვნენ დამოკიდებული ტრადიციულ სწავლების მეთოდებზე.

გრაფიკი 51: მოსწავლეთა წილი, რომლებიც სკოლების გახსნის მუხე დაუბრუნდნენ საკლასო ოთახს (%)



წყარო: Unicef, საქსტატი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი



5.4 მთავრობის პოლიტიკა განათლების სექტორში COVID-19 პანდემიის დროს

COVID-19 პანდემიის დროს საქართველოს მთავრობამ სხვადასხვა სახის სოციალური დახმარების პროგრამები უზრუნველყო, რომელშიც შედიოდა კომუნალური გადასახადების სუბსიდირება, საბანკო სესხების რესტრუქტურირება და სხვა. სოციალური დახმარებები რომლებიც განათლების სერვისის გაუმჯობესების მიზნითაც იყო გამოყენებული შეიძლება მოიცავდეს პროგრამებს:

- ◆ ერთჯერადი 200 ლარიანი სოციალური დახმარება ბავშვებს;
- ◆ სასწავლო მასალები მოსწავლეებისათვის;
- ◆ საშეღავათო ინტერნეტ პაკეტი;
- ◆ ინტერნეტის ზოგადი ხელმისაწვდომობა – “Universal Internetization Project”;
- ◆ საჯარო შესყიდვები განათლების სექტორში.

ერთჯერადი 200 ლარიანი სოციალური დახმარება ბავშვებს

ერთჯერადი 200 ლარიანი სოციალური დახმარება ყველა 18 წლამდე ასაკის ბავშვმა მიიღო და მოსახლეობაში თანაბრად გადანაწილდა, მიუხედავად მშობლის შემოსავლისა. 18 წლამდე მოსწავლეების 200 ლარიანი დახმარება მთავრობის მხრიდან არ არის საკმარისი რომ უზრუნველჰოს სოციალურად დაუცველ ოჯახებში მცხოვრებ ბავშვების სწავლის პროცესი. მიმღებ ბენეფიციართა რაოდენობის შემცირებით შესაძლებელი იყო დახმარების მოცულობის გაზრდა.


სასწავლო მასალები მოსწავლეებისათვის

დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის პროცესის ხელშეწყობის მიზნით გამოყენებული ერთ-ერთი მეთოდი იყო „სასწავლო პაკეტების“ დარიგება. პაკეტები მოიცავდა სასწავლო მოდულებს, სამუშაო რვეულებს და სხვა საჭირო მასალებს რაც მოსწავლეებს ხელს შეუწყობდა თვითსწავლებაში. ეს მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსწავლეებისთვის რომლებსაც ხელი არ მიუწვდებოდათ ინტერნეტზე.

იუნესკოს და მსოფლიო ბანკის ერთიანი ანგარიშის თანახმად¹⁰, „სასწავლო პაკეტები“ ამა თუ იმ ფორმით დარიგდა ქვეყნების 89%-ში. კვლევის თანახმად ამ მეთოდის ეფექტურობა დადებითად შეფასდა მაღალი და საშუალო შემოსავლიანობის ქვეყნებში, ხოლო უფრო ნეგატიურად შეფასდა დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში ქვეყნებში.

საგანმანათლებლო დაწესებულებებმა სასწავლო მასალები საქართველოშიც დაარიგეს. დახმარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის, მათთვის ფინანსური წნეხის შესამსუბუქებლად.

გრაფიკი 52: 2-დან 17 წლამდე ბავშვების წიდი, ვინც მიიღო სასწავლო მასალები საგანმანათლებლო ინსტიტუტებისგან



წყარო: Unicef, საქსტატი, ინფოხმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

საშუალავათო ინტერნეტ პაკეტი მასწავლებლებისა და მოსწავლეებისთვის

საქართველოს მთავრობა სამ ძირითად მობილურ ოპერატორთან (სილქნეტი, მაგთიკომი და ვიონი) თანამშრომლობის გზით დაეხმარა 2,500-მდე მოსწავლესა და მასწავლებელს საშუალავათო მობილური ინტერნეტ პაკეტების მიღებაში. განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და მობილურ ოპერატორებს შორის ხელმოწერილი ურთიერთთანამშრომლობის მიმორანდუმის

¹⁰ UNESCO, UNICEF, and World Bank. 2020. *Survey on National Education Responses to COVID-19 School Closures*

ფარგლებში, სტუდენტებს და მასწავლებლებს ეძლევათ საშუალება შეისყიდონ 20 GB მობილური ინტერნეტი 10 ლარად, რაც საბაზრო ფასზე 2.5 ჯერ ნაკლებია. მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შეეძლება საშეღავათო ინტერნეტ პაკეტების შეძენა 2020/2021 სასწავლო წლის დასრულებამდე.

საერთო ჯამში, საშეღავათო მობილური ინტერნეტ პაკეტი გაზრდის ინტერნეტის ხელმისაწვდომობას, თუმცა აბსოლუტური სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობისათვის მაინც მიუწვდომელად რჩება, მათი რიცხვი კი მოსახლეობაში 20%-ზე მეტია.

2020 წლის მანძილზე, სახელმწიფო ასუბსიდირებდა კომუნალურ გადასახადებს საქართველოში. კონკრეტულად, ელექტროობა და გაზი უფასოდ მიეწოდებოდათ შინამეურნეობებს, ვინც თვეში 200 კილოვატზე და 200 მ3-ზე მეტს არ მოიხმარდნენ. სუბსიდიები ასევე ეხებოდა დასუფთავებისა და წყლის გადასახადებს, მაგრამ არა ინტერნეტს, რაც სავარაუდოდ მისი მნიშვნელობის სათანადოდ ვერდაფასებას ნიშნავს სახელმწიფოს მხიდან. თუმცა, უნდა აღინიშნოს რომ კომუნიკაციების კომისიის თავჯდომარემ მიმართა სატელეკომუნიკაციო კომპანიებს, რათა მათ ხელი შეეწყოს მოსახლეობას კრიტიკული მნიშვნელობის მომსახურებებისა და ინფრასტრუქტურის მიწოდებით, რომელიც შეფერხების გარეშე, სრული დატვირთვით იმუშავებს საგანგებო მდგომარეობის დროს.

ინტერნეტის ზოგადი ხელმისაწვდომობა – “UNIVERSAL INTERNETIZATION PROJECT”

473 სოფელი და საერთო ჯამში 2,000-მდე დასახლება ჯერ კიდევ ელოდება მაღალი სიჩქარის მქონე ინტერნეტს, რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ 2015 წელს გამოცხადებული “Universal Internetization Project”-ის ფარგლებში უნდა მიიღონ. არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი “ოუფენ ნეტი” ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, საქართველოში ფართოზოლოვანი ინტერნეტ კარგშირისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის შესაქმნელად დააარსა. 150 მლნ დოლარად შეფასებული პროექტის მიზანი იყო, რომ 8,000 კილომეტრიანი ოპტიკურ ბოჭკოვანი ქსელი გაეყვანა 2020 წლამდე და 2,000-მდე დასახლებისთვის მაღალი სიჩქარის ინტერნეტი მიეწოდებინა. ოუფენ ნეტს ისეთ ადგილებზე უნდა მოეწყო ინფრასტრუქტურა, სადაც კერძო ინტერნეტ კომპანიები არ გეგმავდნენ მაღალი ხარჯებისა და დაბალი მოთხოვნის გამო. 473 სოფლის სია, რომელიც პროექტის პირველ ფაზაში უნდა მოიცვან გამოქვეყნებულია, მაგრამ სამუშაოები ჯერ

დანყებული არ არის. მას შემდეგ რაც 20 მლნ ლარად გამოცხარებული ტენდერი ჩავარდა, შესყიდვების სააგენტომ გამარტივებული შესყიდვის გზით, ავტორიზაცია მისცა „ოუფენ ნეტს“, რომ ოპტიკურ ბოჭკოვანი ინტერნეტისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის შენება დაეწყო.

პროექტი „ქართუ ფონდის“ მიერ უნდა დაფინანსებულიყო და თავდაპირველი გამოთვლების თანახმად 125-150 მლნ დოლარის ინვესტიცია ჭირდებოდა. თუმცა, „ოუფენ ნეტმა“ მხოლოდ 3 მლნ ლარი მიიღო 2015-2017 წლებში და დაფინანსება ამის შემდეგ შეწყდა¹¹. მას შემდეგ ორგანიზაცია სხვა კერძო შემოწირულობებს ახორციელებს.

მოგვიანებით, 2019-ში საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა 2019-2025 წლების, საქართველოს ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა ფართოზოლოვანი ინტერნეტ ქსელების შექმნისთვის. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს თანახმად, სტრატეგია გულისხმობს საქართველოს ციფრულ და ინფორმაციულ ჰაბად ჩამოყალიბებას რეგიონში, და ის მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით განხორციელდება. სტრატეგიის ზოგადი მიზნები მოიცავს კონკურენციის სტიმულირებას, ინვესტიციების მოზიდვას, და ციფრული უნარების განვითარებას მოსახლეობაში მთელი საქართველოს მასტაბით. 2025 წლისთვის სამიზნე შედეგები მოიცავს:

- ◆ 4G დაფარვის უზრუნველყოფა საქართველოს ტერიტორიის 99%-ზე;
- ◆ 5G სერვისის პილოტირება, მინიმუმ 3 მუნიციპალიტეტში;
- ◆ 1GB/s-ზე ხელმისაწვდომობა ყველა იურიდიული პირისთვის;
- ◆ მაღალი სიჩქარის (100 MB/s+) ფართოზოლოვანი ქსელის ხელმისაწვდომობა ყველა შინამეურნეობისთვის.

კომუნიკაციების კომისია, მუნიციპალიტეტები, კერძო სექტორი, სხვადასხვა სექტორის მარეგულირებელი ორგანოები, ისევე როგორც სამოქალაქო და საერთაშორისო ორგანიზაციების, მიიღებენ მონაწილეობას ამ სტრატეგიის აღსრულებაში. სამოქმედო გეგმა და სტრატეგია საქართველოს მთავრობის ბიუჯეტიდან, კომუნიკაციების კომისიის ბიუჯეტიდან და სხვა სექტორული მარეგულირებელი ორ-

¹¹ ინფორმაცია IDFI-ს „ოუფენ ნეტმა“ მიაწოდა

განოების მხრიდან პასუხისმგებელი სააგენტოების დანიშვნას გულისხმობს. მსოფლიო ბანკის გამოთვლების თანახმად, 600 მლნ დოლარამდე (დაახ. 1.6 მლრდ ლარი) იქნება საჭირო მიზნის მისაღწევად. პროექტი ძირითად ინვესტიციას კერძო სექტორისგან ელოდება.

პროექტის განახლების შემდეგ, გარკვეული აქტივობა შეინიშნებოდა. კონკრეტულად, ფართობოლოვანი ოპტიკურ ბოჭკოვანი ინტერნეტისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის შექმნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, რომელიც 2020 წლის ოქტომბერში დაიწყო. დღესდღეისობით, 140 კმ სიგრძი კაბელია გაყვანილი 49 დასახლებულ პუნქტში (28,576 მოსახლე)¹². პროექტი 14 მაისს დასრულდა და მოხდა აშენებული ფართობოლოვანი ინფრასტრუქტურის ექსპლუატაციაში გაშვება. ასევე, დაწყებულია მეორე საპილოტე პროექტი ქობულეთის მუნიციპალიტეტში და დაგეგმილია 50 კმ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, დაახლოებით 10,500 მოსახლესათვის.

მსოფლიო ბანკმა, საქართველოს ფართობოლოვანი ქსელების განვითარების 2020-2025 წლების ეროვნული სტრატეგიისა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმის მხარდაჭერის მიზნით, საქართველოს მთავრობასთან თანამშრომლობით, შეიმუშავა პროექტი “Log in Georgia”, რომლის ფარგლებში დაგეგმილია დაახლოებით 1,000 დასახლებული პუნქტის, მათ შორის, მაღალმთიან სოფლებში ოპტიკური ქსელის მშენებლობა, რომლითაც სარგებელს მიიღებს დაახლოებით 500,000 ადამიანი. პროექტის ფარგლებში 2022 წლის პირველ კვარტალში ოპტიკური ქსელის მშენებლობა დაიწყება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში; 2022 წლის პირველ კვარტალში დაიწყება ასევე სამუშაოები ამბროლაურისა და ონის მუნიციპალიტეტებში.

საჯარო შესყიდვები განათლების სექტორში

ჯანმრთელობის დაცვის საკითხებმა და საზღვრების ჩაკეტვამ, რომელიც კოვიდ-19-ის კრიზისს მოყვა, მწვავე შეფერხება გამოიწვია სამუშაოების, საქონლისა და მომსახურების მიწოდებისა, თუ დისტრიბუციის ჯაჭვში, რომლების საჯარო სექტორის ასე ჭირდება. საჯარო შესყიდვების სფეროში ძირითადი ტრენდებისა და ტენდენციების ზოგადი მიმოხილვის მიზნით, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა შეისწავლა საქართველოს განათლებისა და მეცნიერებების

¹² [Opennet.ge - Progress Tracking portal](https://opennet.ge).

სამინისტროსა და მისი შვიდი არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირის მიერ გამოცხადებული ტენდერები და გამარტივებული შეყიდვები, რომელიც სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზეა განთავსებული.

COVID-19-მა შეამცირა განათლების სექტორში სახელმწიფო შესყიდვები. 2020 წელს გამოცხადებული ტენდერების სრული მოცულობა 89 მლნ ლარი იყო, -35%-ით ნაკლები ვიდრე 2019 წელს. ეს შემცირება გამოწვეული იყო ფაქტით, რომ წლის ძირითადი ნაწილი დაკეტილი იყო საჯარო განათლების ობიექტები.

ცხილი 3: 2019-2020 წლებში, ტენდერების საშუალებით განხორციელებული შესყიდვების საერთო მოცულობა (მლნ ლარი)

სააგენტო	2019	2020	%-ული ცვლილება
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	2.9	1.2	-59%
საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო	115.3	82.6	-28%
განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა	15.4	2.9	-81%
შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი	1.0	0.4	-60%
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი	1.8	0.14	-92%
განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	0.1	1.1	+1000%
სკოლის მანდატურის სამსახური	1.0	0.6	-40%
განათლების საერთაშორისო ცენტრი	0.1	0.05	-50%
სულ:	137	89	-35%


წყარო: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

განათლების სექტორში გამოცხადებული ტენდერები კურიერული სერვისებისა და პროგრამული უზრუნველყოფის პროდუქტების შესაძენად გაიზარდა. გამოცხადებული ტენდერების რაოდენობაც გაიზარდა 53%-ით. ყველა დანესებულებამ, ვიზუალ დაკვირვება ხორციელდებოდა, შეამცირა გამოცხადებული ტენდერების რაოდენობა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გარდა, რომელმაც მასშტაბური ტენდერები გამოაცხადა მრავალი პროგრამული პროდუქტისა და კურიერული მომსახურების შესაძენად.


2020 წელს 31 მლნ ლარიანი ტენდერი გამოცხადდა, რომ პირველ კლასელი მოსწავლეებისთვის 55,000 კომპიუტერი მიეწოდებინათ. ტენდერი პროგრამა „ჩემი პირველი კომპიუტერი“ ფარგლებში გამოცხადდა საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ.

898 პროექტორი და 6,350 კომპიუტერი იყო შეძენილი 13 მლნ ლარად, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) მიერ დაფინანსებული პროექტის „საქართველოს I2 Q პროექტი - ინკლუზიურობა, ინოვაცია და ხარისხი“ ფარგლებში. პროექტის მიზანია გაზარდოს ხარისხიანი სკოლამდელი განათლება, სწავლების ხარისხი და ცოდნა ზოგად განათლებაში, ინოვაციური და მდგრადი ინფრასტრუქტურის საშუალებით, პროექტის სრული დაფინანსება 90 მლნ ევროა. დამატებით, 4 მლნ ლარი დაიხარჯა Wi-Fi ქსელების მიწოდებასა და დაყენებაზე 121 სკოლაში.

გრაფიკი 53: შესწავლილი უწყებების გენდერების სტატისტიკა 2019-2020



გრაფიკი 54: ცაღკუედი უწყებების მიუხ გამოცხადებული გენდერები 2019-2020 წლებში



წყარო: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

გამარტივებული შესყიდვა

გამარტივებული შესყიდვის კონტრაქტების რაოდენობა 2020 წელს -78%-ით შემცირდა ნ.წ. 15.9 მლნ ლარამდე. საჯარო სამსახურებმა გამოიყენეს გამარტივებული შესყიდვის პროცედურები ელექტრონული ტენდერების ნაცვლად, რომ საჭირო პროდუქტების/მომსახურებების შესყიდვა მოეხდინათ გადაუდებელ ვითარებაში, ისევე როგორც სხვა შემთხვევებში რომლებიც შესყიდვების კანონშია განსაზღვრული. ამის გასაკეთებლად, ნებისმიერ სამთავრობო უწყებას შესყიდვების სააგენტოსგან ნებართვა სჭირდება.


ცხილი 4: გამარტივებული პროცედურების გამოყენების ხაოფნობა განათლების სექტორში 2019-2020 წლებში (მლნ ლაი)

სააგენტო	2019	2020	%-ული ცვლილება
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	3.1	1.1	-64%
შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი	1.7	2.2	32%
განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	0.4	0.4	-14%
სკოლის მანდატურის სამსახური	0.9	0.3	-64%
საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო	57.5	11.3	-80%
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი	0.3	0.2	-43%
განათლების საერთაშორისო ცენტრი	0.1	0.1	+36%
განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა	9.1	0.2	-97%
სულ:	73.1	15.9	-78%


წყარო: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

გამარტივებული შესყიდვის გამოყენების რაოდენობა 2020 წელს 27%-ით ნ.წ. 843-მდე შემცირდა. ყველა სააგენტომ შეამცირა გამარტივებული შესყიდვის წესის გამოყენება, განათლების ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს გარდა, რომელმაც +23%-ით გაზარდა (ნ.წ.) გამარტივებული შესყიდვის გამოყენება 264-მდე. სულ 2020 წლის განმავლობაში და მთელი გამარტივებული კონტრაქტების რაოდენობის 30% შეადგინა.

გრაფიკი 55: გამაჩვივებელი შესყიდვების ჯამური ხაოდენობა



გრაფიკი 56: გამაჩვივებელი შესყიდვების ხაოდენობა 2019-2020 წლებში



წყარო: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ზემოთ ხსენებული დაწესებულებების გარდა, განათლებასთან დაკავშირებული საჯარო შესყიდვებს ადგილობრივი თვითმმართველობებიც ახორციელებდნენ. 220 წლის 22 ივლისიდან 30 სექტემბრამდე პერიოდში, 41-მა მუნიციპალიტეტმა შეიძინა ჰიგიენასთან დაკავშირებული ნივთები და მომსახურებები 241 სკოლისთვის გამარტივებული შესყიდვის გზით, ისევე როგორც 16-მა მუნიციპალიტეტმა 133 ბაგაბალისთვის.

6. ფოკუს-ჯგუფის კვლევის ფარგლებში მიღებული შედეგები

აღნიშნული კვლევის ფარგლებში, სოციოლოგიური ინფორმაციის შესაგროვებლად გამოყენებულია სოციალური კვლევის, როგორც რაოდენობრივი - დისტანციური ანკეტირების, ასევე, თვისებრივი - ფოკუს-ჯგუფის მეთოდები. ფოკუს ჯგუფების ჩატარება გადაწყდა იმ მიზნით, რომ კვლევის გუნდს მიეღო ინფორმაცია გამოწვევებზე, რომელიც წარმოიშვა დისტანციური სწავლების პირობებში და აღნიშნული გამოწვევები ყოფილიყო წარმოდგენილი თბილისსა და რეგიონების მიხედვით. საერთო ჯამში, თვისებრივი კვლევის ფარგლებში შეირჩა 6 ფოკუს-ჯგუფი, რომელსაც დაესწრნენ დირექტორები, მასწავლებლები და მშობლები, როგორც თბილისიდან, ასევე რეგიონებიდან.¹³ რაოდენობრივი კვლევა ჩატარდა დისტანციურ გამოკითხვის ტექნიკის გამოყენებით და 500-ზე მეტი რესპონდენტი მოიცვა.

6.1 თვისებრივი კვლევა

თვისებრივი კვლევის ამოცანა არის იმ სიღრმისეული გამოწვევების გამომჟღავნება, რომელიც რაოდენობრივი გამოკითხვის ფარგლებში ვერ ხერხდება. აღნიშნული ფოკუს-ჯგუფების მიხედვით გამომჟღავნდა შემდეგი სახის გამოწვევები:

- ◆ **ინტერნეტზე დაბალი ხელმისაწვდომობა და საჭირო ტექნიკური მონაცემების არ არსებობა, განსაკუთრებით სოციალურად დაუცველ მოსწავლეებში;**
- ◆ **მშობელთა მხრიდან ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების უნარების ნაკლებობა, TEAMS-ის მართვის საკითხები და შეფასების პროცესის შეფერხება (ელექტრონული ჟურნალის ექსპორტის შეუძლებლობა);**

¹³ ჯგუფებზე ხესპონდენტებმა ისაუბრეს დისტანციური სწავლების დადებით მხახეებზე, სკოლების, პედაგოგებისა და მშობლების გამოწვევებზე.

- ◆ დისტანციური სწავლების პირობებში მოსწავლეების ქარბი რაოდენობის და გაკვეთილის დაბალი ხანგრძლივობის გამოწვევა;
- ◆ ჰიპერაქტიური, სპეციალური შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების გაკვეთილზე ჩართვის გამოწვევა და დაწყებით კლასებში მოსწავლეების დეპრესიული განწყობა;
- ◆ ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის გამოწვევა და საჭირო ტექნიკური მოწყობილობების არ ქონა, განსაკუთრებით სოციალურად დაუცველ მოსწავლეებში.

ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა, რომელიც ფოკუს-ჯგუფებში გამოვლინდა არის ინტერნეტზე დაბალი ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით რეგიონებსა და მაღალმთიან რაიონებში, სადაც ინტერნეტთან წვდომა ხშირად რთულია უამინდობის, ან კავშირგაბმულობის არქონის გამო. ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ გაუმართავი ინტერნეტ კავშირი ის ძირითადი გამოწვევებია, რომლის წინაშეც სკოლები COVID-19 პანდემიის დროს დადგნენ.

„პრობლემა ის იყო, რომ ინტერნეტის პრობლემა გვაქვს. ამ წუთას მეც ინტერნეტის პრობლემა მაქვს, რომლის დაგეგმვა დამავიწყდა.“

„ეხთადეხთი, ხაც ყველაზე დიდი პრობლემაა, ჩვენ ხო მაღალმთიანი სოფელი ვართ და ძალიან შიხს, ჯეხ ყვედანაიხად ისეც შიხს, მეხე ეს უამინდობა თუ ახის და თოვლი ახის, ინტერნეტი საერთოდ შიხს.“

ერთ-ერთი რესპონდენტი მშობელი ამბობს, რომ გაუმართავი ინტერნეტ კავშირის გამო, ხშირად მოსწავლეებს TEAMS-ი პროგრამიდან „ავდებს“, რაც დამატებითი გამოწვევაა სასწავლო პროცესის წარმართვისას.

„მე ეხთხედ მეგონა, რომ ჩემი შვილი მაგყუებდა და მეუბნებოდა რომ TEAMS-მა გამომავლო, მაგხამ მახთდაც რომ დავუჯექი გვეხდით დავხწმუნდი, მაგხამ მე ამას უფრო ვაბხადებ ინტერნეტს, ინტერნეტი ახ იყო კახგად.“

ერთ-ერთი რესპონდენტი დირექტორი ამბობს, რომ მიუხედავად იმისა, რომ მისი სკოლა ახალი სკოლის მოდელშია ჩართული, რაც ტექნოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებით სამინისტროსგან სკოლის დახმარებას ითვალისწინებს, მათაც მუდმივად აქვთ გაუმართავი ინტერნეტ კავშირი.

„ყველაზე დიდი პირობებია ჩემი სკოლის მაგ.ზე გეტყვიტ ეხდა თქვენ, რომ Wi-Fi-ის, ანუ ინტერნეტის ხაზისხი ახის ძალიან დაბადი. ჩვენს სკოლაში, მითუმეტეს, რომ ჩართული ვახტ ახადი სკოლის მოდელის პიროექტში და ინტერნეტის ხაზისხი ახის დაბადი.“

დისტანციური სწავლების გამოწვევები ყველაზე მეტად სოციალურად დაუცველ მოსწავლეებს შეეხოტ. მათ ინტერნეტის გარდა, კარგი და მუშა მდგომარეობაში მყოფი კომპიუტერებიც არ აქვოტ, რის გამოც ვერ ახერხებენ სასწავლო პროცესში სრულფასოვნად მონაწილეობას.

„ბავშვებს ახც ტელეფონი, ახც კომპიუტერი აქვოტ ნოქმადუხი. ახის ესე-ოტი ოჯახები, რომ ინტერნეტზეც ხედმიუწვდომლობა ქონდაოტ, მაგხამ კომპიუტერები ახა.“

„სოციალუხად დაუცვედი, თავისთავად ახ ქონდაოტ ტელეფონი ბევხს, ახ ქონდაოტ ინტერნეტი. ტელეფონი რომ ქონებოდა, ინტერნეტის პირობებია ქონდა. უნდა წასურეყვნენ მეზობელთან. ეს ხო ყვედაფეხი გამოიწვევს ხალაცა ბავშვში იმ გიძნობას, რომ ახ სიამოვნებს, რომ დიდაზე 10-ის ნახევახზე გადადი სხვა მეზობელთან და ჩაეხოე. მე ვფიქრობ, რომ სოციალუხად დაუცვედ ოჯახებს ყვედაზე მეტად გაუჭიხდაოტ.“

იგივე გამოწვევას აწყდებიან მრავალშვილიანი ოჯახები პანდემიის და დისტანციური სწავლების დროს. რესპონდენტების მიხედვით, ოჯახები, სადაც 2-ზე მეტი მოსწავლეა შესაძლოა იდგნენ გაკვეთილების დამთხვევის, ან ტექნიკური მოწყობილობების შესაფერისი რაოდენობის არ ქონის პრობლემის წინაშე. მშობელი რესპონდენტები განიხილავენ მრავალშვილიანი ოჯახის გამოწვევებს:

„ოთხი შვიდი მყავს და სამია სკოლის მოსწავდე და იყო პეხიოდი, რომ ეხოდეხოუდად ემთხვეოდა დხო ჩაჩოვის, გაკვეთილების და ძალიან ვწვადობდით. თუ ახ ემთხვეოდა იყო რომ, ვთქვაოტ ოთხივეს ახ ქონდა კომპიუტერი და რომედილაცა ეხოტი ტელეფონით შედიოდა და უნდა გამოსურეყო თავისი თიმსიდან და ჩაეხოეოტ მეხე მეოხეს თავისი, რომ შესურეყო და ესე შემდეგ.“

„5 ბავშვი მყავს. ხუთივე სასკოლო ასაკის და ეგ პირობებია მეც მქონდა ინტერნეტთან დაკავშირებით. ხან ხმა ახ ისმოდა. ძიხითადად უფხო ხმა ახ ისმოდა ხოდმე, ან ვახდებოდნენ გაკვეთილიდან და ძალიან გვიჭიხდა ხოდმე მოკდედ.“ (მშობელი თბიდისიდან)

**მშობელთა მხრიდან ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების უნარების
ნაკლებობა და TEAMS-ის მართვის საკითხები, უფასოების გამოწვევების
ჩათვლით (ელექტრონული ურუნაღის ექსპორტის შეზღუდვები)**

შემდეგი გამოწვევა, რომელიც გამომჟღავნდა, არის პედაგოგებისა და სოფლად მცხოვრები მშობლების მხრიდან TEAMS-ის მართვის უნარების არ ქონა. ერთ-ერთი მშობელი რეგიონიდან ამბობს, რომ სოფლად მცხოვრებ მშობლებს ძალიან გაუჭირდათ დისტანციური სწავლებისთვის ფეხის აწყობა, ინტერნეტის, ტექნოლოგიებისა და ციფრული წიგნიერების კომპეტენციის არ ქონის გამო. რესპონდენტი მშობლები საუბრობენ, რომ ხშირად მოსწავლეები ხელოვნურად აფერხებდნენ სასწავლო პროცესს, მაგ.ად თანაკლასელს გამოურთავდნენ ხოლმე მიკროფონს, რასაც მასწავლებლები ვერ აკონტროლებდნენ და შესაბამისად, ეს იწვევდა სასწავლო პროცესის შეფერხებას.

„ჩემი აზრით, უახლოვითი ის იყო ხო, ანუ შეეძლოთ ბავშვებს გამოეხითოთ მიკროფონი თანაკლასელისთვის, ასევე შეეძლოთ მასწავლებელი ხო დაფას გააზიარებდა იქ ჩაითუღიყვნენ და წაეშადათ. ხალაც ხალაცეები იყო დასახვეწი, ხაც დავუშვათ, საგაკვეთილო პიროცესის დიხოს უფიხო მაჩთვაღია, ვიდეჰე აი, ამ ონდაინის ჰეჟიმში.“ (მშობელი ჰეგიონიდან)

ერთ-ერთი მშობელი ამბობს, რომ TEAMS-ში დავალების ატვირთვა ძალიან უჭირთ დაწყებითი კლასის მოსწავლეებს, რომელთაც აუცილებლად სჭირდებათ ტელეფონი, რომელიც პატარა ასაკის მოსწავლეებს არ აქვთ. აუცილებელია მშობლების ჩართულობა, რომელიც შესაძლოა გართულებულია ამ უკანასკნელთა დასაქმების, დაკავებულობის, ან ციფრული ტექნოლოგიების უნარების არქონის გამო, ეს ყველაფერი კი შესაძლოა დამატებით გამოწვევას წარმოადგენდეს.

„ყვედაზე დიდი პირობემა დაწყებითი ბავშვებისთვის აჩის დავადებების აგვიხთვა, TEAMS-ში დავადებების აგვიხთვა, იმიტომ ხო აუცილებდაც ჭიხებათ გედეფონი.“ (მშობელი ჰეგიონიდან)

ერთ-ერთი სკოლის დირექტორის მიხედვით, თიმსს არ აქვს ცალკე ფანჯარა, რომ მოსწავლეთა შეფასებები ცალკე კლასების მიხედვით ნახოს მასწავლებელმა, ან მშობელმა.

„სასუხვედი იქნება თუ კი სემესტრული შედეგები იქნება ხალაცა ისეთი ფანჯარა, სადაც განთავსებული იქნება მაგ.ად მე-7 კლასის შეფასებები სემესტრის შემდეგ და იგივე იქნება მომდევნო სემესტრის შემდეგ და საბოდროდ წდიუხიც.“

ასევე, სკოლის დირექტორები თანხმდებიან, რომ კარგი იქნება, თუ ელექტრონულ ჟურნალს ექნება ექსპორტის ფუნქცია.

„ექსპოზიციის ფანჯარა რომ დაემაგოს ედექტონოდ ჟუჰნადს დადიან კახგი იქნება, რომ გადამოწმების, გადაზუსტების და თუნდაც დოკუმენტაციის მოწესხიგების უფხო გამაჩგივებუდი ფოხმა იქნება დიხექციისთვისაც, მასწავლებლებისთვისაც და დადიან კახგი იქნება ექსპოზიციის შესადებდობა რომ ქონდეს.“

მასწავლებლები ამბობენ, რომ TEAMS-ს არ აქვს „არების“ ჩანიშვნის ფუნქცია და შეუძლებელია ე.წ. შემატამებელი ქულის აღნიშვნა.

„ბახვეზი ეს იყო. პიხად მე, ხაც მუშაობის პიოცესში შემემთხვა, ეს იყო შემატამებლების ჩანიშვნა. აი სუდ ახდახანს, პიხვედი თებეხვიდან ეს ბახვეზი იყო, რომ ფუნქციუხად ახ მოგვცა ამის საშუალება.“ (მასწავლებელი ხევიონიდან)

დისტანციური სწავლების პირობებში მოსწავლეების ჭარბი რაოდენობის და გაკვეთილის მოკლე ხანგრძლივობა

ერთ-ერთი რესპონდენტის მიხედვით, არის საგნები, რომლის ახსნასა და საგაკვეთილო პროცესის მართვას 30 წუთი არ ჰყოფნის, მითუმეტეს, როდესაც კლასში 30 და მეტი მოსწავლეა. დისტანციურ სწავლების დროს განსაკუთრებით რთულია მოსწავლეთა დიდი რაოდენობის მართვა და მათი საგაკვეთილო პროცესში ჩართვა.

„30 ბავშვი რომ ზის ეხთ კლასში და ეხთი მასწავლებელია, ნახევარი საათი ან 45 წუთი აქვთ ჩაჩთვა, ფიზიკუხად ვეხ ასწეებენ, თუნდაც ძვედ ქაჩთუდს რომ გადიან, ამხედა თემის განხილვას.“ (მშობელი ხევიონიდან)

მოსწავლეთა დიდი რაოდენობა ერთნაირ სირთულეს წარმოადგენს, როგორც რეგიონებში, ისევე თბილისში.

„ხაც შეეხება ხაოდენობას, საჯახო სკოლებში ცოგა ბევხია, ანუ მაქსიმუმ 28 ბავშვია და ვფიქრობ, რომ ეს დადიან ბევხია დისტანციური სწავლების დხოს კი ახა, პიხისპიხ სწავლებისთვისაც და მეც ვფიქრობ, რომ კახგი იქნება, თუ ჯგუფებში იქნება 10-დან 15-მდე მოსწავლე.“ (მშობელი თბილისიდან)

ჰიპერაქტიური, სპეციალური შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების გაკვეთილზე ჩართვის გამოწვევა და დაწყებით კლასებში მოსწავლეების ევრესიული განწყობა

რესპონდენტები მშობლები ამბობენ, რომ დისტანციური სწავლების დროს რთულდება ჰიპერაქტიური ბავშვის საგაკვეთილო პროცესში ჩართვა, რომლის ცოდნა, უნარები და მეთოდოლოგია ჯერ-ჯერობით შესაძლოა სკოლებს/მასწავლებლებს არ აქვთ.

„ჰიპერაქტიუხი ბავშვთან მინც საჭიროა, ხომ გვეხდით იყოს სხვა ადამიანი, ხომეღიც მას, ასე ვთქვათ, შეახსენებს, ხომ ის უნდა ჩაეხთოს, ანუ დისტანციუხად მინც უჭიხს მასწავლებელს, ხომ ინდივიდუალუხად მიუღგეს თითოეულ ბავშვს და აი, მეგი ყუხადლება დაუთმოს ვთქვათ, ჰიპერაქტიუხი ბავშვს.“ (მშობელი თბილისიდან)

კვლევამ, ასევე გამოავლინა დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებული სხვა გამოწვევები. მასწავლებლები ამბობენ, რომ დისტანციურმა სწავლებამ შესაძლოა დიდი გავლენა დაწყებითი კლასის მოსწავლეებზე იქონია და შესაძლოა მათი დეპრესიული განწყობა/მდგომარეობა გამოიწვია.

„ფსიქოლოგიუხი, თუნდაც პატახა პიხვედკლასელი, მეოხეკლასელი ბავშვისთვის პანდემია იყო დეპრესიის მიზეზი.“ (მასწავლებელი ხეგონიდან)

საერთო ჯამში, თვისებრივმა კვლევამ გამოავლინა სირთულები ინტერნეტთან წვდომისა და შესაბამისი ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის კუთხით, განსაკუთრებით სოციალურად დაუცველი მომხმარებლებისა და მრავალშვილიანი ოჯახების წევრი მოსწავლეებისთვის, ვისაც არ აქვს ხარისხიანი ინტერნეტი და შესაბამისი რაოდენობის ტექნიკა. გამომჟღავნდა, რომ სოციალურად დაუცველ და რეგიონში მცხოვრებ მოსწავლეებს შესაძლოა, უფრო მეტი სირთულები აქვთ დისტანციური სწავლების დროს, ვიდრე თბილისში მცხოვრებ მოსწავლეებს.

მასწავლებლებისა და მშობლების მხრიდან დისტანციურად კლასების მართვის, დასწრებისა და საშინაო დავალების ატვირთვისთვის საჭირო ტექნიკური უნარების არ ქონა, ასევე გამოწვევაა სასწავლო პროცესისთვის. ისეთი სირთულები, როგორცაა დისტანციური გაკვეთილების ხანგრძლივობა და სტუდენტების ჭარბი რაოდენობა, გავრცელებული იყო თბილისის, ისევე როგორც რეგიონის სკოლის მოსწავლეებში და რესპონდენტები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ ხსენებული გამოწვევები ამცირებენ დისტანციური გაკვეთილების ეფექტიანობას.

კვლევის თვისებრივი მონაცემების პირველადმა ანალიზმა გამოამჟღავნა, რომ დაწყებითი კლასის მოსწავლეებისთვის დავალების ატვირთვიდან დაწყებული, მათი დეპრესიული განწყობით დამთავრებული უფრო სტრესული და რთული აღმოჩნდა დისტანციური სწავლება, ვიდრე საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისათვის. და ბოლოს, რესპონდენტები თანხმდებიან, რომ დისტანციური სწავლება სქესის მიხედვით არ განსხვავდება. მათი მონაყოლის მიხედვით, გოგონები და ბიჭები ერთნაირი გამოწვევების წინაშე იდგნენ ამ პერიოდში. მხოლოდ ერთი რესპონდენტის მონაყოლის მიხედვით, გოგონები და ბიჭები მართალია თითქმის ერთნაირი გამოწვევებისა და გამოწვევების წინაშე იდგნენ ამ პერიოდში, თუმცა მაღალი კლასის ბიჭებმა მაინც მოახერხეს გარკვეულ შემთხვევებში გაკვეთილების გაცდენა, ვიდრე გოგონებმა.

არსებული გამოწვევების ფონზე, დისტანციურმა სწავლებამ წარმოაჩინა ახალი შესაძლებლობები და ცალკეულ შემთხვევებში სკოლების ადმინისტრაციისა და მშობლების აქტიურობის შედეგად მოსწავლეები უზრუნველყოფილი იყვნენ სწავლებისათვის აუცილებელი პირობებით. გარკვეულმა სკოლებმა ინფორმაციული მხარდაჭერა აღმოუჩინეს მოსწავლეებს, სოციალურად დაუცველ მოსწავლეებს გადასცეს სწავლისათვის საჭირო ტექნოლოგია და დაუფინანსეს ინტერნეტი. ასევე, მშობლების მხრიდან იყო მცდელობა, რომ შეექმნათ საერთო ჯგუფები სოციალური ქსელებით და სასწავლო პროგრამა TEAMS-ის ტრენინგები გაემართათ. თუმცა, ვფიქრობთ აღნიშნული ინიციატივების სისტემურად გავრცელება არის საჭირო, რომ ხელშესახები ეფექტი მივიღოთ სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად. ასევე, მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იყოს გარკვეულ მშობელთა დამოკიდებულება დისტანციური სწავლების მიმართ, რომელიც მათი აზრით დროის ეფექტიანად მართვის საშუალებას წარმოადგენს გარკვეულ შემთხვევებში.




6.2 რაოდენობრივი კვლევა (დისტანციური გამოკითხვა)

რაოდენობრივი კვლევა მოიცავდა 528 მონაწილეს. რესპონდენტები იყვნენ მასწავლებლები, დირექტორები და მშობლები. კითხვარი მოიცავდა ფოკუს ჯგუფის მონაცემების ანალიზის შედეგან შემუშავებულ კითხვებს.

რესპონდენტების 33% თბილისიდან იყო, 20% და 14% კი სამეგრელო-ზემო სვანეთისა და იმერეთის მაცხოვრებლები არიან, შესაბამისად. დანარჩენი მონაწილეები კი საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან არიან. ხოლო, ასაკობრივი განაწილებიდან ჩანს, რომ რესპონდენტების უმრავლესობა 31-დან 60 წლამდე ასაკის არიან.

გრაფიკი 57: ჰეგიონი (საცხოვრებელი ადგილი)


528 პასუხი



- თბილისი
- სამეგრელო-ზემო სვანეთი
- იმერეთი
- შიდა ქართლი
- მცხეთა-მთიანეთი
- ქვემო ქართლი
- გურია

გრაფიკი 58: ასაკი

528 პასუხი




- 21 - 30
- 31 - 40
- 41 - 50
- 51 - 60
- 60+

წყარო: კვლევა, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

მონაწილეების უმეტესობა მასწავლებელია (66%), შემდეგ მშობლები (35%) და დირექტორები (5%), ასევე შეიძლება რესპოდენტი სამივე ერთად იყოს. გარდა ამისა, მასწავლებლების 67.3% დაწყებით სკოლაში ასწავლის, 53% საბაზო და 40.9% საშუალო დონეზე.


გაფიკი 59: ხესპონდენტის სტატუსი

528 პასუხი



გაფიკი 60: ხომელ საფეხებზე ასწავლით დისტანციურად?

528 პასუხი




წყარო: კვლევა, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

პროგრამა TEAMS-ს დისტანციური სწავლებისთვის მონაწილეების 94% იყენებს და უმეტესობა თვლის, რომ მოსახერხებელია (53.4%) დისტანციური სწავლისთვის ან სრულად მოსახერხებელი (23.5%).

გაფიკი 61: ხამდენად მოსახერხებელია TEAMS-ი დისტანციური სწავლებისთვის?

506 პასუხი




წყარო: კვლევა, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტები კომფორტულად არიან პროგრამა TEAMS-თან, სხვა პროგრამებიც პოპულარულია, მათ სურდათ ZOOM-ი (50.7%) და Messenger-იც (48%) გამოეყენებინათ დისტანციური სწავლების დროს. იმის გათვალისწინებით რომ TEAMS-ს მხოლოდ 23.5% ასახელებს როგორც “სრულად მოსახერხებელს” და პროგრამები ZOOM-ი და Messenger-ი ასეთი პოპულარობით სარგებლობენ, შეგვიძლია ვივარაუდოთ რომ TEAMS-ი საკმაოდ დაგვეხმარა COVID-19 პანდემიის დროს, მაგრამ აკლია საჭირო ფუნქციები.

გრაფიკი 62: სხვა ხომელი პროგრამის გამოყენებას ისუხვებდით დისტანციური სწავლების პროცესში?

487 პასუხი




წყარო: კვლევა, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

მონაწილეთა 85.4%-მა მიიღო ინფორმაცია დისტანციური სწავლებასთან დაკავშირებით განათლების სამინისტროსგან და მთელი რესპონდენტების 67%-მა ტრენინგებიც კი გაიარა TEAMS-ის გამოყენების შესახებ, მაგრამ მონაწილეთა 25% ვინც ტრენინგები გაიარა, თვლის რომ ის უკვე დაგვიანებული იყო.

კვლევის მონაწილეთა თითქმის 62% ამბობს, რომ დასწრება დისტანციური გაკვეთილების დროს უფრო დაბალი იყო ვიდრე საკლასო სწავლების დროს პანდემიამდელ პერიოდში. გარდა ამისა, რესპონდენტების 62% ამტკიცებს, რომ დასწრება დისტანციური სწავლების პერიოდშიც შემცირდა, დასაწყისში უფრო მეტი ესწრებოდა დისტანციური გაკვეთილებს ვიდრე შემდეგ პერიოდებში.


გრაფიკი 63: როგორ შეიცვალა მოსწავლეთა დასწრება დისტანციური გაკვეთილებზე საკლასო ოთახებში ჩაბრუნებულ გაკვეთილებთან შედარებით?

528 პასუხი



გრაფიკი 64: როგორ შეიცვალა დისტანციური სწავლების დროს გაცდენების ხაოღენობა?

528 პასუხი




წყარო: კვლევა, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

რესპონდენტების ნახევარზე მეტი ფიქრობს, რომ აკადემიური მოსწრება გაუარესდა დისტანციური სწავლების დროს და მხოლოდ 16% ამბობს საპირისპიროს. ასევე, 63%-ის თანახმად სწავლის ხარისხი გაუარესდა და მხოლოდ 8% თვლის რომ COVID-19 პანდემიის დროს უფრო მაღალი ხარისხის სწავლა იყო.


გრაფიკი 65: ხოვთი შეიცვალა მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება ოფდინ სწავლებასთან შედარებით?

528 პასუხი



გრაფიკი 66: თქვენი დაკვირვებით, ხოვთი შეიცვალა სწავლა/სწავლების ხარისხი?


524 პასუხი



წყარო: კვლევა, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

გამონწევები ინტერნეტთან (43%) და გაუმართავი ტექნიკის ფლობა (33%) იყო ყველაზე ხშირი გართულებები რესპონდენტებისთვის. ასევე, დისციპლინა (14%) იყო გამონწევა დისტანციური გაკვეთილების დროს.

გრაფიკი 67: დამატებით ხა სიხუდებს გამოყოფით დისტანციური სწავლებისას?




წყარო: კვლევა, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

არასაკმარისი კომპიუტერების რაოდენობა დისტანციური სწავლების მნიშვნელოვანი გამონწევაა. კვლევის მიხედვით მონაწილეთა მხოლოდ 60% იყენებს პერსონალურ კომპიუტერს სწავლისთვის, ხოლო დანარჩენი რესპონდენტები სხვა ტექნიკით სარგებლობენ. იმის გათვალისწინებით რომ ყველა ოჯახს არ აქვს პერსონალური კომპიუტერი და ხშირად მრავალშვილიან ოჯახებს არ გააჩნიათ რამდენიმე კომპიუტერი, კომპიუტერების რაოდენობა საკმარისი არ არის. ასევე, დიდი სურვილი იყო უფასო ან იაფი ინტერნეტის ქონის დისტანციური სწავლის პერიოდში.

აზიის განვითარების ბანკის კვლევის ფარგლებში შესწავლილი სახელმწიფოებიდან 15-ში გადაიდგა ნაბიჯები მობილური ტელეფონებით დისტანციური განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით. 11 ქვეყანაში განათლების სამინისტროებმა დაარიგეს სუბსიდირებული ან უფასო მოწყობილობები. ხოლო 17 ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში, მთავრობამ ინტერნეტ პროვაიდერებთან მოლაპარაკების შედეგად უზრუნველყო ინტერნეტი სუბსიდირებული ან ნულოვანი ტარიფით საგანმანათლებლო მიზნებისთვის (UNESCO, UNICEF and World Bank 2020).


გრაფიკი 68: ხომელ გექნიკას იყენებთ დისტანციური სწავლების დროს?

528 პასუხი



გრაფიკი 69: ხა იქნებოდა სასუხვედი დახმარება თქვენთვის დისტანციური სწავლებასთან დაკავშირებით? (შეიძლება ჩამდენიმე პასუხი)

528 პასუხი




წყარო: კვლევა, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანი რესპონდენტების 59% ფიქრობს რომ სკოლას აქვს სტრატეგია დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებით, როცა 23% საპირისპიროს ამტკიცება და 18%-ს არ აქვს ინფორმაცია ამ საკითხზე. გარდა ამისა, 84.7% თვლის, რომ ყველა მოსწავლეს არ აქვს წვდომა ინტერნეტზე და მათი 78.4% სოციალურად გაჭირვებულ ოჯახებს ასახელებს, ხოლო 54.8% მრავალშვილიან ოჯახებს.


გრაფიკი 70: თქვენი დაკვირვებით, ყველა მოსწავდეს აქვს ინტერნეტზე წვდომა?

528 პასუხი



გრაფიკი 71: თუ ახა, რომელ მოსწავდეებს აქვთ ინტერნეტზე წვდომა?


476 პასუხი



წყარო: კვლევა, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

მიუხედავად იმისა, რომ 49%-ს ნეიტრალური პოზიცია უჭირავს კითხვაზე არიან თუ არა მზად მასწავლებლები მოსწავლეების ფსიქოლოგიურ მდგომარეობასთან გასამკლავებლად. რესპოდენტების ცოტათი მეტი თვლის რომ მასწავლებლები მზად არიან (24%) ან სრულად მზად არიან (6%) იმ ნაწილთან შედარებით ვინც თვლის რომ არ არიან მზად (16%) ან საერთო არ არიან მზად (5%).

გრაფიკი 72: თქვენი აზრით, სტრესის ფაქტორებში ჩამდენად ახიან მასწავლებლები მზად, რომ გაუმკლავდნენ ბავშვების ფსიქოლოგიურ მდგომარეობას?



წყარო: კვლევა, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი


საერთო ჯამში, რაოდენობრივმა კვლევამ აჩვენა რომ დასწრება მნიშვნელოვნად გაუარესდა საკლასო სწავლებასთან შედარებით, ისევე როგორც დისტანციური სწავლების პერიოდში. გარდა ამისა, რაც ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, მონაწილეთა უმეტესობა თვლის რომ დასწრება დისტანციური გაკვეთილებზე, ისევე როგორც სწავლების ხარისხი გაუარესდა საკლასო სწავლებასთან შედარებით.

დამატებითი სირთულე ტექნოლოგიის ფლობა და ინტერნეტზე წვდომაა, რაც დისტანციური სწავლებისთვის აუცილებელია. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე ხშირად გამოყენებული ტექნოლოგია არის პერსონალური კომპიუტერი და მობილური ტელეფონი, ხოლო ყველაზე პოპულარული სურვილი რაც რესპოდენტებს ქონდათ, COVID-19 პანდემიის დროს უფასო ინტერნეტის ქონა იყო.

7. სასწავლო დანაკარგები და COVID-19

საქართველოში უმუშევრობის წილი უმაღლესი განათლების მქონე სამუშაო ძალაში მნიშვნელოვნად მცირდება. 2011 წელს, უმაღლესი განათლების მქონე სამუშაო ძალის თითქმის 24% იყო უმუშევარი, მაგრამ ეს რიცხვი 2019 წელს 14 პ.პ. შემცირდა 11%-მდე.


გრაფიკი 73: უმუშევრობის დონე საქართველოში, სხვადასხვა ჯგუფებში განათლების დონით.



წყარო: მსოფლიო ბანკი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

თუმცა, საქართველოში უმუშევრობის დონე უმაღლესი განათლების მქონე ადამიანურ კაპიტალში (11%) ბევრად მაღალია ვიდრე სხვა ქვეყნებში, OECD წევრებისა (6%) და ევროკავშირის ქვეყნების (6%) ჩათვლით, რაც ჩვენი უმაღლესი განათლების დაბალ ხარისხზე მიუთითებს.

გრაფიკი 74: უმუშევრობის დონე უმაღლესი განათლების მქონე ადამიანთა კაპიტალში, საქართველოში და სხვა ქვეყნებში 2019.




წყარო: მსოფლიო ბანკი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

COVID-19 პანდემიის გამო, საქართველოს მთავრობამ 2020 წლის 4 მარტს ვირუსის გავრცელებისთვის ხელის შეშლის მიზნით სკოლებში ერთ თვიანი დასვენება გამოაცხადა და შემდეგ დისტანციური სწავლებისთვის საჭირო დისტანციური პლატფორმები ამოქმედა. შემოღებული შეზღუდვები და დისტანციური სწავლის მიმართ გამოუცდელობა, სასწავლო პროცესის ეფექტურობას ამცირებს და მოსალოდნელია გამოინვიოს ქვეყნის ეკონომიკური ზრდის პოტენციალის შეფერხება გრძელვადიან პერიოდში.

დისტანციური სწავლა უკეთესია ვიდრე სწავლის სრულიად შეჩერება, მაგრამ მას ახლავს სერიოზული გამოწვევებიც, კერძოდ: COVID-19 პანდემიის გამო გაზრდილმა უმუშევრობამ და ეკონომიკურმა კრიზისმა შეამცირა შინამეურნეობების შემოსავლები, რაც დაგროვებულ სტრესში აისახება და კერძო გაკვეთილებისა და ძვირადღირებული ტექნოლოგიების ან სწავლისთვის საჭირო სხვანივთების ხელმისაწვდომობას შეტად ამცირებს. ყველა ბავშვს არ აქვს ინერნეტთან წვდომა, კომპიუტერი ან მობილური ტელეფონი და მრავალშვილიან ოჯახებში, როცა გაკვეთილები ერთდროულად ტარდება ტექნიკა უფრო მწირი რესურსი ხდება. ქვემოთ, ჩვენ ავხსნით როგორ შევიძუშავთ მოდელი სასწავლო დანაკარგის დასათვლელად და რა გრძელვადიანი შედეგები ექნება ამ დანაკარგს საქართველოს ეკონომიკაზე.

მოსალოდნელი პროდუქტიულობა რეგიონისა და განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით ყველაზე დაბალი საქართველოს სკოლის მოსწავლეებშია. მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებული “ადამიანური კაპიტალის ინდექსი“ (HCI)¹⁴ 2018 წლის ოქტომბერში გამოაქვეყნეს და 2020 წელს განახლდა. საქართველოს ქულა 0.57-ია რაც საკმაოდ დაბალი შეფასებაა. HCI ზომავს ალბათობას, რომ დღეს ქვეყანაში დაბადებული ბავშვი მომავალში პროდუქტიული მუშაკი გამოვა, თუ მოცემული გვაქვს კონკრეტული ქვეყნის განათლებისა და მედიცინის სფეროების ხარისხი. HCI-ს მაჩვენებელი 0-დან 1-მდეა და სამი ელემენტისგან შედგება: ბავშვების გადარჩენის კოეფიციენტი (99% საქართველოში), სრულწლოვანის გადარჩენის კოეფიციენტი (85% საქართველოში) და განათლების ხარისხი, რომელიც განისაზღვრება იმის მიხედვით თუ რამდენი წლის განათლება მიიღო სკოლა დამთავრებულმა (8.27 საქართველოში, როცა ბალსა და სკოლაში მოსალოდნელია რომ 12.936 წელს გაატარებს).

გრაფიკი 75: HCI მაჩვენებელი სხვადასხვა ქვეყანაში 2020 წელს



წყარო: მსოფლიო ბანკი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

COVID-19 პანდემიის შედეგად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში დაწესდა შეზღუდვები, რომლებიც წნეხის მატარებელი აღმოჩნდა ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებისათვის. განათლების სექტორში დაწესებულმა შეზღუდვებმა შეაფერხა განათლების პროცესი რაც მომავალი კოვიდ თაობის კვალიფიკაციაზე აისახება და უარყოფითი ზეგავლენა ექნება ეკონომიკაზე. მსოფლიო ბანკის მონაცემების, ადამიანური კაპიტალის ინდექსის გამოყენებით, ინფორმაციის თავისუფლების

¹⁴ დანაკაჩების მოდელი შემუშავებულია მსოფლიო ბანკის მონაცემების, ადამიანური კაპიტალის ინდექსის გამოყენებით და ზომავს ჯამურ დანაკაჩს მომავალი მშპ-ს გათვადისწინებით.

განვითარების ინსტიტუტმა შეიმუშავა სწავლის შეფერხებით გამოწვეული ეკონომიკური შეფერხების ზრდის მოდელი, რომლის მეთოდოლოგია მოცემულია ქვემოთ:

- ◆ მთავრობის ეფექტიანობა სკოლის მოსწავლეებში სასწავლო დანაკარგის შესამცირებლად (**M**):

$$M=G*A*E$$

G-დისტანციური სწავლებისთვის ალტერნატიული გზების შესაქმნელად გადადგმული ნაბიჯები

A-დისტანციური სწავლების პლატფორმების ხელმისაწვდომობა მოსწავლეებისთვის

E-დისტანციური სწავლების ეფექტიანობა, საკლასო სწავლებასთან შედარებით

- ◆ სწავლაზე მორგებული სასწავლო წლების რაოდენობა (**LAYS**) შემდეგი ფორმულით ითვლება:

$$LAYS=P*S*(1-M)$$

P-სკოლის პროდუქტიულობის საზომი (სტუდენტის საშუალო ჰარმონიზებული ტესტის ქულა, HTS)

S-საქართველოში დისტანციური სწავლების დღეების %-ული წილი

- ◆ წლიური შემოსავალი ერთ სტუდენტზე (**YE_pS**) არის საჭირო, რომ საშუალო წლიური ცვლილება გამოვთვალოთ ყველა სტუდენტის მომავალ შემოსავლებში, რომლებიც საქართველოს განათლების სისტემაში არიან ჩართულნი, დაწყებითი განათლებიდან სკოლის დამთავრებამდე:

$$YE_pS=LAYS*R*Earnings$$

R-მოსალოდნელი ამონაგები გრძელვადიან პერიოდში, ერთ წელ განათლებაზე, H_{CI}-ში გამოყენებული

Earning-საშუალო წლიური შემოსავალი საქართველოში

- ◆ სტუდენტების სრული წლიური შემოსავლის (TYE) გამოთვლები:

$$TYE=N*A*UHCI$$

N-სტუდენტების რაოდენობა

A-ზრდასრულთა გადარჩენის კოეფიციენტი

UHCI¹⁵-Utilization ზე მორგებული ადამიანური კაპიტალის ინდექსი

ჩვენი დათვლით, საქართველოს ეკონომიკისთვის სასწავლო დანაკარგის დღევანდელი ღირებულება დაახ. 55 მლრდ ლარს აღწევს. სასწავლო დანაკარგის დღევანდელი ღირებულების დასაანგარიშებლად, სტუდენტების დასაქმება გათვალისწინებულია საშუალოდ 10 წელში და მუშაობის ხანგრძლივობა 45 წელი. ხოლო დისკონტის განაკვეთი აღებულია 3% (ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი). ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ გამოთვლებში მეტწილად გამოყენებულია COVID-19 პანდემიის პერიოდში არსებული მონაცემები და მიღებული რეალობა შეიძლება უარესი იყოს.

ასევე, მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი დათვლილი დანაკარგები ახლოს არის აზიის განვითარების ბანკის მიერ 2021 წლის აპრილში გამოქვეყნებულ ნაშრომში: „სწავლის და შემოსავლის დანაკარგები COVID-19 პანდემიით გამოწვეული სკოლების დახურვისგან“ საშუალო სიმძაფრის სცენარით დათვლილ დანაკარგებთან. განსხვავება ძირითადად გამოწვეულია მოდელში გაკეთებული დაშვებებიდან გამომდინარე და ერთნაირი დაშვებების პირობებშიც დანაკარგების დღევანდელ ღირებულებებს შორის განსხვავება 5 მლრდ. ლარს არ აღემატება.

საერთო ჯამში, დანაკარგი შეგვიძლია მომავალში შევამციროთ, თუ მთავრობა და ოჯახები დაეხმარებიან ახალგაზრდებს COVID-19 პანდემიისგან გამოწვეული სასწავლო დანაკარგის ანაზღაურებაში.

¹⁵ მიუხედავად იმისა რომ საქართველოს მაგ.ზუა დათვლილი, ახ ითვალისწინებს საქართველოს საშუალო ბაზის სპეციფიკას. მაგ.ზუა, მსოფლიო ბანკმა მოახგო HCI-ის გამოთვლები მაღალი პირობების ქვეყნებში საშუალო ბაზის მოთხოვნას უნახებზე და კოვნიტუხ შესაძლებლობებზე.

8. რეკომენდაციები განათლების საქმეებში COVID-19-ის უარყოფითი ეფექტები შესამსუბუქებლად

- ◆ **COVID-19 პანდემიის პირობებში ქვეყანა კვლავ მოუმზადებელია დისტანციური სწავლებისათვის. შესაბამისად, აუცილებელია საკითხის განხილვა, სხვადასხვა პროფესიული პლატფორმების მეშვეობით, მათ შორის საქართველოს პარლამენტის დონეზე და სასწრაფო წესით ქმედითი პოლიტიკის შემუშავება. უნდა გავითვალისწინოთ, რომ გართულებული ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე, მოსალოდნელია ახალი სასწავლო წლის დაწყება დისტანციური სწავლების საშუალებით და არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების გარეშე საკმაოდ დიდ დანაკარგებს მივიღებთ. ასევე, არსებითია სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ტექნიკური დახმარება, რომ ვუზრუნველყოთ სწავლის ელემენტარული პირობებით.**

COVID-19 პანდემიის პირობებში, როდესაც მოსახლეობის ძალიან მცირე ნაწილია აცრილი და პანდემია ჯერ არ არის დამარცხებული, დიდი მნიშვნელობა აქვს დისტანციური სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას. დღესდღეობით, მოსახლეობას დისტანციური სწავლების პროცესში ჩართვის სირთულეები აქვს. მთელი მასწავლებლებისა და მოსწავლეების თითქმის 11%-ს არ გამოუყენებია პროგრამა TEAMS-ი. სწავლებისა და სწავლის პროცესი ინტერაქტიულია, და ძალიან რთულია ბავშვებისთვის არსებული რეალობის გააზრება და COVID-19 პანდემიის შეზღუდვებთან შეგუება, აქედან გამომდინარე დისტანციური სწავლება ახალგაზრდების ფსიქიკური ჯანმრთელობისთვის (მფოთვა) უფრო დიდ გამოწვევას წარმოადგენს ვიდრე უფროსებისთვის. ამიტომაც, აუცილებელია რომ დისტანციური სწავლის პროცესი სწორად იყოს დაგეგმილი და მოსწავლეების მოთხოვნებზე მორგებული.

დისტანციური სწავლება ახალი გამოწვევა და შესაძლებლობაა, ერთდროულად. აქედან გამომდინარე, თანამედროვე სასწავლო ინსტრუმენტების დანერგვის გახანგრძლივებამ შეიძლება ახალი გამოწვევები შეუქმნას საქართველოს განათლების სისტემას და სამუშაო ძალის განვითარება შეაფერხოს, სხვა ქვეყნებთან

შედარებით. დისტანციური სწავლება არა მარტო ჩაკეტვების დროს არის კარგი გამოსავალი, არამედ კლასების გაცდენის რაოდენობა უნდა შემცირდეს და სწავლის პროცესის ეფექტიანობა გაზარდოს.

- ◆ **დისტანციური სწავლების ხელშესაწყობად და მისი როგორც უწყვეტობის, ასევე უფრო მაღალი ეფექტურობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია განხორციელდეს დისტანციური სწავლების მონიტორინგი, რომელიც შემთხვევითობის პრინციპით შეარჩევს სასწავლო გაკვეთილებს და სიღრმისეულად გამოავლენს არსებულ პრობლემებს, რომელიც ფოკუს ჯგუფების თვისობრივი კვლევისას დასახელდა.**

მშობელთა და გარკვეულ შემთხვევებში მასწავლებელთა ციფრული ტექნოლოგიების დაბალი ცოდნა, ასევე, გაკვეთილების დაბალი ხანგრძლივობა და მოსწავლეთა დიდი რაოდენობა, მნიშვნელოვანი გამოწვევაა სრულყოფილი სასწავლო პროცესის უზრუნველყოფისათვის. დამატებითი კვლევა ამ მიმართულებით მოგვცემს საშუალებას სიღრმისეულად იყოს შესწავლილი არსებული გამოწვევები.

- ◆ **სასწავლო დანაკარგები შეიძლება შემცირდეს სკოლებში უფრო მაღალი ხარისხის სწავლებით, სასწავლო სემესტრების გახანგრძლივებით, და დაბალი მოსწრების ბავშვებისთვის დამატებითი ტრენინგების შემოღებით.**

COVID-19 პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვები და მასთან ასოცირებული სასწავლო დანაკარგების დღევანდელი ღირებულება დაახლოებით 55 მლრდ ლარს შეადგენს. შემოღებული შეზღუდვები და დისტანციური სწავლების გამოცდილების ნაკლებობა, ამცირებს სასწავლო პროცესის ეფექტიანობას და მოსალოდნელია, რომ გრძელვადიანი ნეგატიური შედეგები ჰქონდეს ახალგაზრდა თაობის უნარების განვითარებაზე, ისევე როგორც ქვეყნის ეკონომიკური ზრდის პოტენციალზე.

- ◆ **აუცილებელია განათლების სექტორზე გამოყოფილი რესურსების ზრდა, რაც ხელს შეუწყობს მასწავლებლის პროფესიის განვითარებას, დაეხმარება სოციალურად დაუცველ მოსახლეობას და გააუმჯობესებს სწავლის ხარისხს.**

საქართველოს მიერ განათლების სექტორისთვის გამოყოფილი რესურსები,, მშპ-თან მიმართებაში % უფრო დაბალია ვიდრე ევროკავშირის და OECD ქვეყნების საშუალო მაჩვენებელი, რაც იწვევს მასწავლებლების დაბალ ანაზღაურებას, შედეგად

კი მასწავლებლის პროფესია არაპოპულარულია და მასწავლებლების საშუალო ასაკის ზრდა დიდი გამოწვევაა ამ სექტორში.

განათლების სერვისები სოციალურად დაუცველ ოჯახში მცხოვრები ბავშვებისთვის, ძირითადად არ არის ხელმისაწვდომი დისტანციური სწავლების პირობებში. COVID-19 პანდემიის პერიოდში საქართველოს მთავრობის მიერ 17 წლამდე ბავშვებისთვის გამოყოფილი იყო თვითოეულზე 200 ლარი, რომელიც თანაბრად გადანაწილდა როგორც სოციალურად დაუცველ ოჯახებზე, ასევე ყველა დანარჩენ ოჯახზე. შესაბამისად, უმჯობესია აღნიშნული ტიპის დახმარებები გაიცეს მიზნობრივ ჯგუფებზე უფრო დიდი მოცულობით.

78,000¹⁶ მოსწავლეს არ აქვს წვდომა ინტერნეტთან ან კომპიუტერთან და 100 მლნ. ლარია საჭირო სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის კომპიუტერებისა და ინტერნეტის მისაწოდებლად, რომ მათ დისტანციური სწავლების პლატფორმასთან წვდომა ჰქონდეთ.

- ◆ **მოსწავლეების ჯგუფების შემცირება და გაკვეთილების ზრდა დაეხმარება სასწავლო პროცესის ეფექტიანობას, ვინაიდან მოსწავლეების მონიტორინგის საშუალება გაიზრდება. ასევე, სასურველია სოციალური ინტერაქციის ზრდა მოსწავლეებში, დისტანციური სწავლების პირობებში.**

ფოკუს ჯგუფებში ჩატარებულმა თვისებრივმა კვლევამ გამოავლინა, რომ დისტანციური სწავლების პირობებში მოსწავლეების ქარბი რაოდენობა და გაკვეთილის დაბალი ხანგრძლივობა მნიშვნელოვანი გამოწვევაა სასწავლო პროცესისათვის. ასევე, ჰიპერაქტიურ მოსწავლეებს ხშირად უჭირთ გაკვეთილებზე კონცენტრაცია და დაწყებით კლასებში მოსწავლეების დეპრესიული განწყობა მაღალია.

- ◆ **COVID-19 პანდემიამ და დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებით არსებულმა გამოწვევებმა წარმოაჩინა, რომ არსებული პრობლემების მიუხედავად სკოლის დამთავრების მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია. ვფიქრობთ, ზოგადი განათლების სისტემა საჭიროებს კვლევებზე დაფუძნებულ ძირეულ რეფორმას, მათ შორის სკოლის დამთავრებისთვის აუცილებელი კრიტერიუმების გაუმჯობესებამ, შეიძლება პოზიტიურად იმოქმედოს მოსწავლეების მოტივაციაზე, პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლის არჩევანზე და შესაბამისად სწავლის ხარისხზე.**

¹⁶ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტისა და *Charte.ge*-ს შეფასებით.

სკოლის დამამთავრებელი გამოცდების კრიტერიუმები შესაძლოა ძალიან დაბალი იყოს საქართველოში. სკოლას მოსწავლეების 96% ამთავრებს, რაც ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელია მსოფლიოში. თუმცა, PISA-ს ტესტირების ქულები და სხვა ხარისხის განმსაზღვრელი ინდიკატორები აჩვენებს, რომ სკოლის საგანმანათლებლო პროგრამა და განათლების ხარისხი, რომელსაც მოსწავლეები იღებენ დაბალია.

- ◆ **ინტერნეტით უზრუნველყოფას ბევრი არაპირდაპირი სარგებელი აქვს ქვეყნისთვის. შესაბამისად, საქართველოს მთავრობამ, კერძო ინტერნეტ მომწოდებლებთან ერთად, უნდა უზრუნველყოს მოსახლეობის ინტერნეტთან წვდომა და განიხილოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არსებული დანახარჯები, ირიბი სარგებლის გათვალისწინებით, რომელიც დაკავშირებულია ქვეყანაში განათლების ზრდასთან.**

ინტერნეტი სოციო-ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი ფუნდამენტია დღევანდელგლობალურ დაზრდადციფრულეკონომიკაში. ამჟამად საქართველოში, მაღალი ციფრული უთანასწორობაა, რაც ძირითადად სოციალური, გეოგრაფიული და ეკონომიკური ფაქტორებით არის გამოწვეული.

COVID-19 პანდემიის პერიოდში დაწესებულმა შეზღუდვებმა თითქმის 2.2 ჯერ გაზარდეს საქართველოში ინტერნეტის მოხმარება. ინტერნეტი ყოველდღიურად უფრო პოპულარული ხდება, მაგრამ საქართველოს სოფლებში და განსაკუთრებით მთიან რეგიონებში ხარისხიანი ინტერნეტი ხელმისაწვდომი არ არის. ქვეყანამ დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს პროგრამა რომელიც ინტერნეტს ხელმისაწვდომს გახდის საქართველოს ყველა რეგიონში, და მაღალი ხარისხის ინტერნეტზე წვდომას უზრუნველყოფს, ან გადახედოს ვადებს და ამჟამინდელ მოვლენებს მიმდინარე პროექტებში.

9. აბრევიატურები

გბ/წ – გიგაბაიტი წამში

მბ/წ – მეგაბაიტი წამში

საქსტატი – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

HCI – ადამიანური კაპიტალის ინდექსი

YEpS - სტუდენტის წლიური შემოსავალი

TYE - ჭამური წლიური შემოსავალი

IBRD – საერთაშორისო რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი

ტბ - ტერაბაიტი

მლნ - მილიონი

მლრდ - მილიარდი

წ.წ. - წლიდან წლამდე

კმ - კილომეტრი

დღგ - დამატებითი ღირებულების გადასახადი

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)



ტ. შევჩენკოს ქ. 20, თბილისი, 0108;



+995 32 2 92 15 14



Info@idfi.ge



www.idfi.ge